ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

ნინო ჯანჯღავა

ივანე ჯავახიშვილი და ქართული ეროვნული იდეა

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ირაკლი ჩხაიძე

თსუ კულტურის კვლევების

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2024 წელი

ანოტაცია

საქართველოში ეროვნული ფასეულობები და ღირებულებები მუდმივი განხილვის საკითხია. ჩვენი ეროვნული იდენტობის დასაცავად, მუდმივად ვიხსენებთ ძველი და დიდებული ეპოქის საზოგადო მოღვაწეებს, რომლებმაც ქართული სულისკვეთება თავიანთ შემოქმედებაში გააცოცხლეს და სამარადჟამოდ დაგვიტოვეს. ასეთი, ერთ-ერთი დიდებული ადამაინი და მეცნიერი იყო ივანე ჯავახიშვილი, რომლის მიზანიც იყო თავისივე სიცოცხლეში მოსწრებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობას, ავტოკეფალიასა და ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. შესწავლილი მასალის ნიადაგზე მოგიყვებით ისტორიას, თუ როგორ შეძლო ივანე ჯავახიშვილმა ქართულ ეროვნულ იდენტობის ფენომენზე ზრუნვა და როგორ შეგვიძლია მას ვუწოდოთ ნაციონალისტი.

შესაბამისად, კვლევის მიზანია შეისწავლოს საზოგადოებაში შემორჩენილი და დაგროვებული ივანე ჯავახიშვილის ინდივიდუალისტური ხსოვნა, ნაციონალური შეხედულებები, ქმედებები. ასევე, უნდა განისაზღვროს მეცნიერის ფიგურა ისტორიულ ჭრილში და მისი ნაციონალისტური მახასიათებლები. კვლევა მოიცავს თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას და მეორადი წყაროების ანალიზის მეთოდს, რომელშიც იგულისხმება 1898-1940 წლებში თავად ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილი ნაშრომები და მასზე შექმნილი ნაშრომები სხვა საზოგადო მოღვაწეების მიერ. ნაშრომში გაეცნობით ივანე ჯავახიშვილის შემოქმედების როლსა და დარწმუნდებით, რატომ შეიძლება ისტორიკოსს ვუწოდოთ, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაციონალისტი.

სარჩევი

შესავალი 4

თავი I – ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის თეორიული ასპექტები და თეორიათა ანალიზი 14

1.1ნაციონალიზმისა და ინტერნაციონალიზმის განსაზღვრებები 16

1.2ეროვნული იდეალის ძიება და ისტორიის როლის გაანალიზება 18

თავი II - ეროვნული კონცეფცია, მისი მნიშვნელობა და იდეათა ანალიზი 21

თავი III - სოციოლოგიური კვლევების როლი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის 29

3.1ქართული ენისადმი სწრაფვა, როგორც „ჭეშმარიტებისკენ“ სვლა 32

3.2ქართული უნივერსიტეტის იდეა და ძირითადი ფასეულობები 36

დასკვნა 41

გამოყენებული ლიტერატურა: 42

შესავალი

დღესდღეობით, საქართველოში და არა მარტო, საქართევლოში ისევ და ისევ აქტუალური საკითხია ნაციონალური იდენტობა, მისი შინაარსისა და განსაზღვრების გაანალიზება, მიზეზებსა და შედეგებზე საუბარი. ნაციონალიზმისა და ზოგადად, ერის ფორმირების პროცესები მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებიდან და ეროვნული თავისებურებების ცვლილებებიდან გამომდინარე. ნაციონალური გუნება-განწყობის შენარჩუნება, ქვეყნის ეროვნული იდენტობის გარანტია. „ყველა ადამიანს მაღალი იდეალი უნდა ჰქონდეს, ეს უნდა იყოს სამშობლოს სიყვარული, თავისი საქმის სიყვარული, ერის სიყავრული, მაგრამ ამის შესახებ კი არ უნდა საუბრობდეს, არამედ უნდა მოქმედებდეს“ (მზექალა შანიძე). ამ ციტატიდან , გამომდინარე დღეს ვისაუბრებთ ივანე ჯავახიშვილის ფიგურაზე და როლზე, როგორი და რა ტიპის წვლილი შეიტანა ქართული ეროვნული სულისკვეთების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში. დღემდე, აქტუალურია ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების განხილვა სხვადასხვა კონტექსტში, თუ როგორ განავითარა მან ქვეყნის არსებული მდგომარეობა, როგორ მოახერხა ეროვნული ერთობისა და ქართველი ერის საკითხის წინა პლანზე წამოწევა. ეს თემა ამოუწურავია და ბოლომდე სიღრმისეულად შესწავლილიც არაა. ამიტომაც კიდევ უფრო საინტერესო გამოვა ჩემი კვლევა. კარგად ვიცით ივანე ჯავახიშვილის დემოკრატიულმა და გამბედავმა ქმედებებმა, როგორი შედეგები იქონია მისსავე სიცოცხლეში და როგორი ცვლილებების მომსწრე გახდა თავადაც. იმდროინდელმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დღევანდელი საზოგადოების ფორმირებაზე და მეხსიერებაში არსებობს ღრმა კვალი, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელსა და კვლევებს უკავშირდება. ქართული ნაციონალიზმის ფორმირების კულმინაცია სწორედაც, რომ უნივერსიტეტის დაარსება იყო, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ივანე ჯავახიშვილი გახლდათ. თავად, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ XX საუკუნის დასაწყისში პრობლემა იყო ქართული იდენტობის წინა პლანზე წამოწევა და ქართულ ენაზე მეტყველება. უნივერსიტეტის დაარსებას მოჰყვა ერის გაერთიანება და დაიწყო ბრძოლა ერთი მიზნისკენ, რომ შექმნილიყო ისეთი ინსტიტუტი, რომელიც აღზრდიდა ახალ თაობას, რომლის მეშვეობითაც შენარჩუნდებოდა და განვითარდებოდა მათი

ნაციონალური იდენტობა. ერნესტ გელნერის მიხედვით განათლება მთავარი გასაღებია ნაციონალიზმის გასავრცელებლად (გელნერი, 2003). საყოველთაო განათლების როლის პარალელურად განათლების გავრცელების მთავარი საშუალება, სწორედ რომ, უნივერსიტეტია. აქედან გამომდინარე, მივედი ივანე ჯავახიშვილის როლის კვლევასთან ქართული ნაციონალიზმის განვითარებაში, გარდა ამისა 2023 წლის ოქსფორდის უნივერსიტეტის საინტერესო კვლევასაც მივაკვლიე, რომელშიც ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი არის მოხსენიებული. მთავარი მიზანია შევისწავლოთ, რატომ იყო ივანე ჯავახიშვილი ნათლად ნაციონალისტი, ასევე გამომწვევ ფაქტორებზე შევეცდები მსჯელობას. როგორი ზემოქმედება იქონია ივანე ჯავახიშვილის ეროვნულმა თვითშეგნებამ და მისმა მიღწევებმა საქართველოში ნაციონალიზმის ფორმირებაზე. ვიკვლევთ, თუ როგორ ესახებოდა მეცნიერს პასუხისმგებლობები, რომლებიც უნდა ჰქონოდა ქართველ მოქალაქესა თუ ხელისუფლებაში მყოფ პირს. შევისწავლით, ზოგადად მისეული პერსპექტივიდან, რას გულისხმობდა ეროვნული პოზიციის ფორმირება საქართველოში.

ქვემიზანია, განვსაზღვროთ რა როლი აქვს ჯავახიშვილის ნაშრომებს ქართული ნაციონალიზმისათვის. როგორ ხედავდა მეცნიერი XX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ ეროვნულ კონცეფციას? ასევე, კვლევა მიზნად ისახავს შევისწავლოთ, რამდენად ერთიანი ან განსხვავებული შეხედულებებია გავრცელებული ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობისა და ნაშრომებისადმი, მოხერხდა თუ არა საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება ქართული ნაციონალიზმის თემატიკასთან დაკავშირებით 1917-1940 წლების მიჯნაზე.

კვლევის ამოცანები

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანებია:

- ივანე ჯავახიშვილის ფიგურისა და როლის განსაზღვრა.
- ისტორიკოსის ნაციონალისტური მიმართლების დადასტურება-თავისი შემოქმედებისა და ქმედებების მეშვეობით.
- უნივერსიტეტში ჩატარებული ლექციების გაანალიზება და მისი ეროვნული პოზიციის შესწავლა.
- ივანე ჯავახიშვილის ნაციონალისტური განწყობის ახსნა, ნაციონალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლების თეორების მიხედვით.
- „ისტორიზმის“ არსის გაგება ჯავახიშვილის მოღვაწეობის მიხედვით და მისი წერილების გაანალიზება.

კვლევის ობიექტი

- ჩემი კვლევის ობიექტია, წყაროების დამუშავება, ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებისა და წერილების გაანალიზება, მაგალითად: „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“, „წარსულის ფურცლები“, ნაციონალიზმის თეორიების შესწავლა და განზოგადება. სხვადასხვა ავტორების ნამუშევრების გაანალიზება და მათი ურთიერთკავშირის დანახვა: ენტონი სმიტის, ერნესტ გელნერისა და ჯოზეფ ლობერასი.

კვლევის კითხვა

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, საკვლევი კითხვები შემდეგნაირად ფორმულირდება:

- რა მეთოდებითა და საშუალებებით ცდილობდა ივანე ჯავახიშვილი საქართველოში ეროვნული იდეების დანერგვას 1917-1940 წლებში?
- რამდენად ერთიანი და განსხვავებული შეხედულებებია გავრცელებული ივანე ჯავახიშვილის ეროვნული თვითშეგნების მიმართულებითა და, ზოგადად, კვლევებისადმი მისსავე სიცოცხლეშიც და შემდგომაც?

კვლევის ჰიპოთეზა

1917-1940 წლების პერიოდში ივანე ჯავახიშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯებითა და განხორციელებული ქმედებებით, მტკიცდება რომ მისი „ნაციონალიზმი“ არის ეროვნული იდეალი და არა „ბურჟუაზიული ნაციონალიზმი“, რომელსაც ის ანხორციელებდა საქართველოში.

თეორიული ჩარჩო

აღნიშნული ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს ენტონი დ.სმიტის ეთნოსიმბოლიზმი, რომელიც ამბობს რომ ნაციონალიზმი ჩაისახა ლიტერატურულ კაფეებსა და სამკითხველო დარბაზებში. მის მიერ აღნიშნული საკრარული ნიშნები და ეთნიკური მახასიათებლები ადასტურებს ნაციონალიზმის გაღრმავებას. სმიტის თქმით, ეროვნული კონცეფცია თანამედროვე-ისტორიული მოვლენაა, რომელსაც ჰქონდა რელიგიური, კულტურული, იდეოლოგიური მახასიათებელი და რომელიც ჩანს პოლიტიკურ, კულტურულ, იდეოლოგიურ, ლიტერატურულ და საერთაშორისო ურთიერთობებში. მის მიერ აღნიშნული ფორმალური და სუბსტანციური ნაციონალისტური კრიტერიუმებით, შეგვიძლია ავხსნათ, თუ როგორ იმუშავა საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის ეროვნული სულისკვეთებისა და კონცეფციის დამკვიდრებამ (სმიტი, 2004). საინტერესო თეორიის წარმომადგენელია უ. ოზკირიმლი, რომელიც ამბობს რომ „კულტურული პრიმორდიალიზმი“ მნიშვნელოვანი განსაზღვრება ნაციონალიზმზე საუბრის დროს (ოზკირიმლი, 2000). ამ თეორიით წინაპრების განსაკუთრებული როლი აიხსნება თანამედროვეობაში, რომ ეროვნული იდენტობისთვის მნიშვნელოვანია ერთიანი კულტურისა და ისტორიის შენარჩუნება, რომელსაც ცდილობდა ივანე ჯავახიშილი. აქვე, დავძენ ჯოზეფ ლობერას პრიმორდიალურ თეორიას, რომელიც ერთ-ერთი ამხსნელი თეორიაა ჩემი კვლევის. თეორიაზე დაყრდნობით, მტკიცდება რომ მომავალზე ორიენტირებულმა ნაციონალიზმმა ერს უნდა შესძინოს უწყვეტობის იდეა. ლობერას თქმით ეროვნული ღირებულებებით „ჩვენი წინაპრების გზები“ ნარჩუნდება. ივანე ჯავახიშვილმა „ქართველი ერის ისტორია“ დაწერა რათა ქართველ ხალხს არ დაევიწყებინა თავიანთი წინაპრები, მათი გაწეული შრომა, ისტორია და მათზე დაფუძნებული მომავალი, რომელიც ეროვნულ იდეებს უნდა ემყარებოდეს (ლობერა, 1994).

მეთოდოლოგია

საკითხის ანალიზისას გამოვიყენე **თვისებრივი მეთოდოლოგიის ტექნიკა.** ჩემს თემასთან დაკავშირებული რელევანტური მასალები განვიხილე, გავაანალიზე და დასკვნები გამოვიტანე. კერძოდ, გამოვიყენე დისკურსის ანალიზი. შესაბამისად, თითოეულმა ნაშრომმა მოითხოვა ღრმა და დეტალური გაანალიზება და საჭირო მნიშვნელობის თეორიების ამოღება, რომელიც ჩემს ნაშრომს სჭირდებოდა. თითოეულ მსჯელობას დასჭირდა თავისი კონკრეტული არგუმენტი და მნიშვნელობა.

შესაბამისად, თითოეული ნაშრომი, ღრმა და დეტალურ გააზრებას მოითხოვს. თითოეულ მსჯელობას სჭირდება თავისი კონკრეტული არგუმენტი და მნიშვნელობა. თავად ცნება დისკურსი კონსტრუქტივისტული მნიშვნელობისაა, რომელიც მე გამოვიყენე. ეს თვისებრივი მეთოდი დამეხმარა ამეხსნა კავშირი ივანე ჯავახიშვილის ეროვნულ თვითშეგნებასა და ნაციონალიზმის არსებობას შორის, ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაში. დასკვნის გამოტანისას, გამოვიყენე **მეორეული წყაროების ანალიზის მეთოდი,** რომელშიც იგულისხმება ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილი ნაშრომებისა და მასზე შექმნილი ლიტერატურის გაანალიზება. კვლევის პროცესში ასევე გამოვიყენე, „საქართველოს ეროვნული არქივის“ ჩანაწერები და თეორიული მონაცემები, გავაანალიზე ინტერნეტში არსებული ინტერვიუები და მოვიძიე სხვადასხვა უცხოური წყაროები ჩემს თემასთან მიმართებაში.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომი, სერგო ჯორბენაძის მიერ აღწერილი ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება დამეხმარა, ღრმად გავცნობოდი საკითხს. (სერგო ჯორბენაძე, „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“, 1984).

თავად, ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში“ საუბრობს, რატომ დადგა დღის წესრიგში ქართული ენის გამოღვიძება და რატომ იქონიებდა ის გავლენას ქართული ნაციონალიზმის გამოცოცხლებაზე. ჯავახიშვილი ამ წიგნში საუბრობს ქართველ ერზე და თავისი წიგნით სურდა, რომ ქართველი ხალხისთვის მეტის გაგების შესაძლებლობა მიეცა თავიანთ ქვეყანაზე, რადგან მაშინ არ იბეჭდებოდა ასეთი წიგნები და არ იყო სპეციალური ორგანო, რომელიც საჭირო საკითხებზე იმუშავებდა. მან ქართველ ხალხს შთააგონა, თუ რამდენად მნიშვენლოვანია „კავკასიისა და ქართველების ნივთიერი კულტურა“. 1928 წლის ნაშრომში იკვეთება მისი ეროვნული პოზიცია და ნაციონალური იდეები.(ივანე ჯავახიშვილი,„ქართველი ერის ისტორია“,1908 წელი)

ჩემი მსჯელობისა და თემის გასამყარებლად მოვიხმობ, უმუთ ოზკირიმლის ნაშრომს: „ნაციონალიზმის თეორიების შესახებ“. ამ წიგნში ახსნილია, როგორ შეიძლება იმოქმედოს ეროვნული ქმედებების მკაფიოდ განხორციელებამ, ნაციონალიზმის განვითარებაზე და საზოგადოების ფორმირებაზე.„კულტურული პრიმორდიალიზმის“განსაზღვრება ოზკირიმლისთვის მთავარი ამხსნელი თეორიაა, თუ როგორ შეიძლება ეროვნული იდეა ჩამოყალიბდეს და განვითარდეს სახელმწიფოში.

ნაციონალიზმთან დაკავშირებით საინტერესო შეხედულებები აქვს, ენტონი სმიტს, რომელიც ამბობს, რომ ნაცია ესაა ერთობა, რომელიც საერთო ღირებულებებზეა დაფუძნებული და მათ ინდივიდუალური იდენტობა გააჩნია, რაც მათ პერსპექტივებზე მიუთითებს. ენტონისა და გელნერის შეხედულებები ერთმანეთს

გავს იმ კონტექსტში, რომ ორივე ფიქრობს ნაციონალიზმის სამომავლო პერსპექტივებზე. მათი აზრით, ნაციების მნიშვნელობის დიაპაზონი მუდმივად ვითარდება, მიუხედავად ბევრი დაპირისპირებისა და უთანხმოებისა. ზუსტადაც, რომ ნაციონალიზმი ესაა სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა, რომელსაც ერთვება ზრდის პროცესი. (ენტონი დ. სმიტი, ნაციონალიზმი „თეორია, იდეოლოგია, ისტორია“ 2004, გვ: 26-27) და (ენტონი დ.სმიტი, „ნაციონალური იდნეტობა“, 2008)

ნაციონალიზმის თეორიებსა და ერის საკითხებზე საუბრისას, გამოვიყენე (ზურაბ დავითაშვილის, „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“, 2003) საიდანაც ამოვიღე ბევრი სხვადასხვა მეცნიერის საინტერესო ციტატა.

ივანე ჯავახიშვილის მიმოწერებში ხშირად იკვეთებოდა ხოლმე, ეროვნული კონცეფციები და ნაციონალური ხედვების გაუმჯობესების მცდელობები. საზოგადოება მის ნაშრომებს კითხულობდა, ლექციებს ესწრებოდა და მიმოწერებს გულდასმით აკვირდებოდა. მაშინდელი ქართველი გამოჩენილი საზოგადოება მასში დიდ ენერგიასა და ენთუზიაზმს ამჩნევდა, ხედავდნენ რომ ის ცვლიდა ერის აზროვნებას. ივანე ჯავახიშვილის „წარსულის ფურცლებში“ ასახულია მისი მიმოწერები სიმონ ჯანაშიასთან და ვარლამ დონდუასთან. სადაც მკაფიოდ ჩანს სირთულეები იმდროინდელ ტოტალიტარულ რეჟიმთან. ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ არსებობდა იდეოლოგიური ბრძოლა 1930-იან წლებში. (ივანე ჯავახიშვილი, „წარსულის ფურცლები“1996)

კვლევისთვის საინტერესო ლიტერატურა, გამოვიყენე მარიამ ლორთქიფანიძისა და გიორგი ოთხმეზურის, „ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ“,სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ივანე ჯავახიშვილის მიღწევებზე მისსავე სიცოცხლეში, როგორ მოახერხა უნივერსიტეტის დაარსება, რექტორობა და ეროვნული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება.

ივანე ჯავახიშვილის ღვაწლიდან გამომდინარე, მან მოახერხა თავის სიცოცხლეშივე ყოფილიყო მთელი ქართული საზოგადოებისთვის საამაყო ქართველი და საზოგადო მოღვაწე. მან მოახერხა სამოქალაქო ნაციონალიზმის გაუმჯობესება, ამას ადასტურებს ჯავახიშვილისთვის მიძღვნილი კრებული, რომელიც მისმა მოწაფეებმა შექმნეს. ამ კრებულში მკაფიოდ ჩანს რექტორის როლი და მოწაფეებში გაღვიძებული ქართული სული. კრებულში ასახულია ქართული ენისა და გრამატიკის თავისებურებები. („არილი“, ტფილისის უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ივანე ჯავახიშვილი-სადმი,მიძღვნილი კრებული,მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წლის თავზე 1900-1925 წლები)

საკვლევი თემიდან გამომდინარე საინტერესო იქნება, აქტუალობის დასაბუთების მიზნით, მერი ჭელიძის წიგნის მოხმობა: „ქართული ეროვნული გონი ფილოსოფიურ-ისტორიული ასპექტით“. ამ წიგნში განხილულია XX საუკუნიდან მნიშვნელოვანი ფუგურების მოღვაწეობის თავისებურებების. ინტელექტუალებს შორისაა ივანე ჯავახიშვილიც. მერი ჭელიძე განიხილავს ჯავახიშვილის ეროვნულ იდენტობას, მისეულ კონცეფციას და როლს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაზე. მერი ჭელიძის ნაშრომში მტკიცდება, რომ ივანე ჯავახიშილი იმ ინტელექტუალებს მიეკუთვნება, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ თავიანთ სამშობლოსთან და გამოირჩევიან პატრიოტული სულისკვეთებით.

კიდევ ერთი საინტერესო ნაშრომის გამოყენება შეიძლება, „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე“, სადაც მკაფიოდ ჩანს, თუ რატომ ახდენდა გავლენას სტუდენტებზე და ზოგადად, ახალ თაობაზე ჯავახიშვილისეული მიდგომები. ის აღვივებდა ახალგაზრდებში უფრო მკაფიოდ ნაციონალიზმს და ეროვულ იდენტობას. „ცხადია, ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაზე“ აღზრდილი ახალგაზრდობა კოსმოპოლიტიზმზე, ველიკოდერჟავულ შოვინიზმზე, დემაგოგიასა და ძალმომრეობაზე დამყარებული საზოგადოების

მშენებლობაში არ მიიღებდა მონაწილეობას (ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, მერაბ ვაჩნაძე, 2004).

ჯოზეფ ლობერას ნაშრომი „The God of Modernity", აქ მოცემულია ზოგადად ნაციონალიზმის განვითარება დასავლეთ ევროპაში, თუმცა ვიპოვე ისეთი ნიშან-თვისებები და მახასიათებლები, რომლებიც ჩემი თემისთვის საინტერესო და შემავსებელია, თუნდაც პრიმორდიალიზმი, რომელსაც ეროვნული ერთობისა და თანამედროვეობის შემკვრელ ფენომენად განვიხილავ (ჯოზეფ ლობერა, „The God of Modernity", Routledge, 1994).

კითხვარი სტუდენტებისათვის ივანე ჯავახიშვილის მიერ გამზადებული, ამოვიღე ედუარდ კოდუას წიგნიდან. „სოციოლოგიური და სოციალურ-ფილოსოფიური ნააზრევი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში, გვ 351).

თავი I – ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის თეორიული ასპექტები და თეორიათა ანალიზი

ივანე ჯავახიშვილმა, საზოგადო მოღვაწემ, სამეცნიერო საქმიანობა პეტერბურგში დაიწყო. განსაკუთრებული სულისკვეთება და დამოკიდებულება სამშობლოსადმი და ქართული ენისადმი უცხო ქვეყანაში, უცხო ქვეყნის მიწა-წყალზე კიდევ უფრო მეტად გაუღრმავდა. 1941 წლის 5 იანვარს ბერლინში მცხოვრებ ქართველთა წინაშე სიტყვით გამოსულმა გამოჩენილმა შალვა ამირეჯიბმა (1887-1943),როდესაც მიმოიხილა ორმოციოდე დღის წინ გარდაცვლილი ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა,სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ ის „იდგა ყველა თავის ქართველ თანამედროვეზედ მაღლა“ და რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველოში არსებული ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში მცხოვრებმა ქართველობამ და „ეროვნულმა იდეამ თავი შეინახა იმიტომ, რომ საქართველო, ქართველი ერი სულიერ კონტაქტში იმყოფებოდა ივანე ჯავახიშვილთან“... უფალმა ნათელში ამყოფოს დიდებული მეცნიერის, უპირველესი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლისა და ღირსეული წინამძღოლის, XX საუკუნის პირველი ნახევრის ყველაზე დიდი ქართველის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სული! მისი სახელი უკვდავი იქნება მანამდე, სანამ ქართველი ერი იარსებებს“ (ამირეჯიბი.შ 1998). ივანე ჯავახიშვილის ლექციებს ენთუზიაზმისა და მჭერმეტყველების გამო სხვადასხვა ფაკულტეტებიდან და უნივერსიტეტებიდან ესწრებოდნენ,იმდროინდელი სტუდენტი პეტერბურგიდან იგონებს: „ლექციის მოლოდინში მგონია უბრალო დამსწრები უფრო ვღელავდით. ვიდრე თვით დებიუტანტი“ - ა.ნ. ჩიჯავაძე. ნაციონალური განწყობა ისტორიკოსში იმდენად ღრმა იყო, რომ რუსეთში ქართველ სტუდენტებს ქართულად უკითხავდა საქართველოს ისტორიას, რასაკვირველია, მალულად. წესით, მისი სამეტყველო ენა პეტერბურგში მხოლოდ რუსული უნდა ყოფილიყო. ზრუნავდა ქართველ სტუდენტებზე, საკუთარი ქვეყნის წარსულის სიდიადე რომ არ დავიწყებოდათ. შეიძლება, ითქვას, რომ საკუთარ თავს საფრთხეში იგდებდა, პეტერბურგში მყოფი ქართველი სტუდენტების გამო. ისტორიკოსს ქვეყნისა და საკუთარი თანამემამულეების სიყვარული არასდროს დაუკარგავს. მისი ერთ-ერთი მიზანი იყო - საერთო ქართული კულტურული ცხოვრება საქართველოში გაევრცელებინა. ვკითხულობთ წყაროებიდან, რომ იმდენად კარგად იცოდა ქართული ენა, რუსულის პარალელურად, რომ სხვა ქართველებს მასთან ამ კუთხით კონკურენციაში ჩაბმას თავს არიდებდნენ. (ჯორბენაძე, 1984) ისტორიკოსის ხედვა არ იყო მარტო საკუთარი ქვეყნის განმტკიცებისკენ მიმართული, ის ცდილობდა საქართველოსთან ერთად განვითარებულიყო მთელი ევრაზია. ამიტომაც, ცდილობდა საზოგადოებისთვის ხმა მიეწვდინა, რომ დაწერილიყო

აღმოსავლეთის საერთო და ზოგადი ისტორია, რითაც ისინი განსხვავდებოდნენ დასავლელებისაგან. ჯავახიშვილი მიუყვებოდა ილია ჭავჭავაძის გზას. ილია აღნიშნავდა: „ჩვენს ქვეყანას ევროპული გამოცდილება, მეცნიერება და განათლება სჭირდება. ეს უნდა იყოს მისი თოფ-იარაღი“. ამით კვლავ ხაზი ესმევა ეროვნულ სულისკვეთებას ევროპისას, რამხელა ძალა ჰქონდა და აქვს. ევროპელებს აქვთ ისტორია, რაც მათ აერთიანებდათ და აერთიანებთ. ეს იყო ეროვნული სულისკვეთება. რასაკვირველია დიდ უპირატესობას ანიჭებდა ქართველი ერის ეროვნული თვითშეგნების ზრდას. 1905 წელს მუშაობდა თემაზე, თუმცა გამოქვეყნება ვერ მოახერხა: „ეროვნული თვითშემეცნების ისტორია საქართველოში“. ლექციების თბილისში გაგრძელების შემდგომ, ისტორიკოსი თამამად საუბრობს საქართველოში კულტურის ისტორიის გაგრძელებაზე. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მე-19 საუკუნის საქართველოში“ აღსანიშნავია, მასში ჩადებული ძირითადი მინიშნებების გამო, რომ ქართველი ხალხისთვის უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარება. (ი.ჯავახიშვილი 1906). ყოველთვის აღნიშნავდა, რომ როდესაც საქართველოში ეროვნული ჩაგვრა მოხშირდებოდა, საჭირო იყო ისევ და ისევ ქართული საზოგადოების განვითარება და ერთობლივად აღმშენებლობით საქმიანობაზე ფიქრი, რადგან ამ დროს საქართველოს სხვა ვერავინ დაეხმარებოდა, რეალურად. ჯავახიშილი ამბობს, რომ XVII-XVIII საუკუნეებში რუსეთი საქართველოს მიმართ „წამქეზებლურ პოლიტიკას“ აწარმოებდა, რაც საბოლოოდ ქვეყნის მარტო დატოვებას გულისხმობდა და რუსეთი განზე დგებოდა ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში. ივანე ჯავახიშვილი ქართველი ხალხის შეკავშირებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის წინ წარმოწევას მოიაზრებდა: ქართველი ხალხის თვითშეგნებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის განვითარება, წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვის გაზრდა, სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობაზე რაციონალური ხედვების გავრცელება. ნაციონალური ხედვების განვითარება და ზოგადად, ხალხების ერთმანეთთან კულტურულად შეკავშირება არ ხდება, განათლებისა და შემეცნების გარეშე. სწორედ, ამიტომაც კიდევ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილმა ჩუყარა საფუძველი, ქართული უნივერსიტეტის აღმშენებლობაა. 1918 წელს უნივერსიტეტის დაარსების მიზანიც ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართველი ერისა და მეცნიერების აღორძინება იყო. ივანე ჯავახიშვილი რუსულ მსოფლმხედველობას უპირისპირდებოდა იმით, რომ ცდილობდა ქართული მეცნიერების შექმნას. საზოგადო მოღვაწე პეტერბურგში ყოფნისას ნაციონალური იდეებით განმსჭვალულ ნაშრომებს ქართულ ენაზე წერდა. იმედი, ჰქონდა რომ ქართველები ამ შემოქმედებას გაეცნობოდნენ და შემოინახავდნენ. რეალურად, უფრო მეტ ქართველს, რომ ჰქონოდა კითხვის შესაძლებლობა და მეტი საქართველოს მოქალაქე, რომ დაფიქრებულიყო

ქართველი ერის მთლიანობის საჭიროებასა და ნაციონალურობაზე. ამავდროულად, შესაძლოა ეს ნაშრომები მომავალში ყოფილიყო საფუძველი სალექციო კურსის წარმართვისათვის. განათლების რეფორმა ხომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძვრაა ქვეყნისა. სხვათაშორის ნიკო მარი ამბობდა, რომ ქართულ უნივერსიტეტი დიდხანს ვერ იარსებებდა, რადგან ამას დიდი ძალისხმევა და რესურსი დასჭირდებოდა ქართველი ინტელიგენციის სახით. იმედია არ ჰქონია, რომ ყველაფერი წარმატებით ჩაივლიდა, თუმცა ქართული უნივერსიტეტის ფენომენი 1918 წელს წარმოჩინდა და დღემდე ვითარდება. ივანე ჯავახიშვილი რუსეთის სხვადასხვა სასწავლებლის ქართველ, გაფანტულ მეცნიერს აღრიცხავდა, რომ მათთვის საქართველოში მეცნიერად ან ლექტორად მუშაობა შეეთავაზებინა მომავალში. მისი 1917 წლის მოხსენება - მკაფიო დემონსტრირება იყო ქართველების გამოცოცხლებისა, რომ მათ ენთუზიაზმით შეეხედათ საქართველოს მომავლისათვის. ივანე ჯავახიშვილმა, ამიტომაც დღის წესრიგში ქართული უნივერსიტეტის გახსნის საკითხი დააყენა. თავის ნაშრომებში და ზეპირსიტყვიერადაც ყოველთვის აღნიშნავდა, რომ უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოსათვის ეროვნული იდეების შენარჩუნება განათლებითა და მეცნიერების აღორძინებით. ალბათ, ბევრს უფიქრია, როგორ შევძელით რუსიფიკაციის პერიოდიდან თავის დაღწევა და ქართული ენის შენარჩუნება. პასუხი ყოველთვის განსხვავებულია, მაგრამ არსი პასუხისა ყოველთვის ერთია: ქართული ერთიანი საზოგადოების გამოჩენილ პირთა ძალისხმევითა და შუამდგომლობით, ქართულმა ენამ კვლავ აღორძინება შეძლო.

1.1ნაციონალიზმისა და ინტერნაციონალიზმის განსაზღვრებები

საბჭოთა რესპუბლიკებში არსებობდა კამპანია „ხალხთა შორის მეგობრობა“, რომელიც ორ ძირითად კომპონენტს მოიცავდა:

1. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ნორმალური იყო, თუ ეთნიკური უმცირესობების შევიწროების ხარჯზე, მოხდებოდა დომინანტი ერების ნაციონალისტური გრძნობების გაღვივება. ასე რომ ვთქვათ, დაჩაგრულ ერებს ასიმილაცია უნდა მოეხდინათ „ტიტულარულ“ ეროვნებებთან.[1] (Gerhard simon, 1991). 2. რუსული კულტურა და ნაციონალიზმი უნდა ყოფილიყო მთავარი და ყველაზე ღირებული. ამ კამპანიის გათვალისწინებით იწერებოდა ქვეყნების

[1] ტიტულარულ ეროვნებებში იგულისხმება ძლიერი და დომინანტური ეთნიკური ჯგუფები. მაგალითად: საქართველოში - ქართველები. ეთნიკური ჯგუფები, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკებში არსებობდა.

ისტორია, შესაძლოა ისტორიის წერის პროცესი „პრიმორდიალურ ხედვას“ არ უგულებელყოფდა, თუმცა აღნიშნული იყო, რომ რუსეთი იყო „პირველი თანასწორთა შორის“ (Terry Martin, 2001).

რუსიფიკაციის პოლიტიკის შემდეგ შეიქმნა ძირითადი სამოქმედო გეგმა, ქართველი ერი გაერთიანდა და უფრო უდრეკი და ბრძოლისუნარიანი გახდა. ვიცით, რომ ივანე ჯავახიშვილი ძალიან ხშირად საუბრობდა ნაციონალურობისა და ინტერნაციონალურობის თაობაზე, რადგან მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის მთავარი ღირებულებების აღორძინება და მომავალი თაობებისთვის გადაცემა, მთელი თავისი ცხოვრება ამისთვის იბრძოდა. საზოგადო მოღვაწე ცდილობდა განმაზოგადებელი თეორიული ნაშრომი დაეწერა, რომ საქართველოში მომავალ თაობას საკუთარი ქვეყნის ღირებულებები და ნაციონალური ერთობის მნიშვნელოვანი საწყისები არ დაევიწყათ. ივანე ჯავახიშილი ამბობდა, რომ რეალურად ინტერნაციონალიზმი არის „პოლიტიკურად თუ კულტურულად გაბატონებული ეროვნების ნაციონალურობით პატარა და უფრო სუსტ ეროვნებათა და ტომთა ეროვნულობის შეგნებულად თუ შეუგნებლივ-სტიქიურად, ფარულად თუ ცხადად დაჩრდილვა და წალეკვა“. ჟამთა სვლასთან ერთად ეროვნულობაც დომინანტობს. ჯავახიშვილი აღნიშნავს ასევე, რომ „იქ სადაც საღი ეროვნული სხეულია, ინტერნაციონალურობა თანდათანობით უეჭველად ქრება და ეროვნული სტიქიონი კვლავ განვითარდება ხოლმე“. ასევე, ცნობილია ივანე ჯავახიშილის სრული ჩანაწერი ამ საკითხთან დაკავშირებით: „ნაციონალურობა და ინტერნაციონალურობა ანუ ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი, განსაკუთრებით ინტერნაციონალობა ახალი ისტორიისა და მხოლოდ ევროპული კულტურის ნაყოფი არ არის, არამედ ყველა ხანაში და ყველგან არის მოსალოდნელი და იყო კიდეც. ინტერნაციონალურობა თან სდევს ხოლმე დიდი სარწმუნოებრივი ან სოციალური მოძღვრების უცხო ნიადაგზე სტიქიურსა და იძულებითს გავრცელებას ან გადანერგვას, მაგრამ მხოლოდ დასაწყისში.“ საბოლოოდ, ჯავახიშვილისეული იდეა ასეთია, რომ ძლიერ სახელმწიფოებს, მყარად და ერთიანად მდგარ ერს, შეუძლია საკუთარი იდენტობისა და ეროვნულობის შენარჩუნება. სადაც საზოგადოება ერთიანი ძალისხმევით ცდილობს დაამყაროს ქვეყანაში კეთილდღეობა და მომავალი თაობებისთვის ნაციონალური იდეების გადაცემა შეუძლებელია ხანგრძლივად მოექცეს, რომელიმე სხვა ქვეყნის გავლენას. ინტერნაციონალურობა სულ იყო და იქნება, სანამ ძლიერი და სუსტი ეროვნებები არსებობენ. ინტერნაციონალურობის დროს ხდება ერების შეკავშირება და გაერთიანება, თუმცა მეორე მხრივ ერის, ისე პიროვნულის განურჩევლობა იწყება. მეცნიერის იდეოლოგია იყო დემოკრატიული და ეროვნული ღირებულებების მატარებელი. XX საუკუნის

პირველ ნახევარში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრად მიიჩნეოდა, ამ კომიტეტში იყო. თუმცა თავისი ცხოვრების მანძილზე ის არცერთ კონკრეტულ პარტიას არ ეყრდნობოდა და ეპირფერებოდა. ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო შემოქმედებამ და საზოგადოებრივი ჩართულობიდან გამომდინარე, მტკიცდება რომ მისმა ღვაწლმა ახალგაზრდების ხედვა, ამბიციური გახადა, გარდა ამისა ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვის მცდელობა ჩაუნერგა. მიხაკო წერეთელი მუდმივად აღნიშნავდა, მის როლს საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ასპექტით. დასაწყისში ვახსენეთ, შალვა ამირეჯიბის დამოკიდებულება ივანე ჯავახიშვილისადმი. ისტორიკოსს, როგორც „დიდი მეცნიერი“, „დიდი ზნეობრივი პიროვნება“, „დიდი ავტორიტეტი“ - ასე მოიხსენიებს. (ამირეჯიბი. შ 1998). ივანე ჯავახიშვილმა დაარსა ქართული უნივერსიტეტი და მიმართულება მისცა ქართულ მეცნიერებას, ახალგაზრდებს მიეცათ უნივერსიტეტში სწვალის საშუალება საქართველოში, ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობა სამკითხველოში. საქართველოს მომავლისთვის ეს სულ სხვანაირი გულის ცემა იყო, თავისუფალი და იმედის მომცემი. ქართველ ახალგაზრდებს მოტივაცია მიეცათ, რომ ესწავლათ ქართულად მათთვის საინტერესო მიმართულება და საგანი. შემდგომ, კი თავიანთი ცოდნა მომავალი თაობებისათვის გადაეცათ. მაშინ ეს უწყვეტი ჟაჭვი ჩამოყალიბდა, შეიკრა და დღემდე გრძელდება. ივანე ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება უნივერსიტეტის დაარსება და ეროვნული მეცნიერების თითქმის ყველა დარგის განვითარება. ჯავახიშვილი, როგორც ადამიანი, მოქალაქე, პიროვნება, მეცნიერი და მოღვაწე.

1.2ეროვნული იდეალის ძიება და ისტორიის როლის გაანალიზება

ივანე ჯავახიშვილმა ეროვნული თვითშეგნების მნიშვნელობა ხალხს დაანახა და ზნეობრივი დონეც განავითარა. სწორედ ამას ამბობდა შალვა ამირეჯიბი: „ოცი წლის მონობის განმავლობაში ქართულმა მოქალაქეობამ და ეროვნულმა იდეამ თავი შეინახა იმიტომ, რომ საქართევლო, მთელი ერი სულიერ კონტაქტში იმყოფებოდა ივანე ჯავახიშვილთან“. ივანე ჯავახიშვილის ენთუზიაზმის გამო, ყველა ახალგაზრდა მეცნიერმა თავი უნივერსიტეტში მოიყარა, რუსეთიდანაც კი ჩამოვიდნენ, იმის იმედით რომ საქართველოშიც მოახერხებდნენ ნაყოფიერ მუშაობას, მათ შორის პეტრე მელიქიშვილიც გაერთიანდა მათთან ერთად. ჩვენ ვიცით ისტორია, როდესაც პეტერბურგის პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი მატარებლით მიემგზავრებოდა, კუპეში შეხვდა ერთ ახალგაზრდას, რომელიც ალექსანდრე თვალჭრელიძე აღმოჩნდა. ივანემ გულის ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო და მისი ცხოვრების შესახებ ბევრი რამ უამბო. ამით ივანემ დაუმტკიცა ალექსანდრეს, რომ მასზე ინფრომაცია მოგროვებული ჰქობდა სიღრმისეულად, მიზეზიც განუცხადა და ერთმანეთს პირობა ჩამოართვეს, რომ ალექსანდრე

თვალჭრელიძე ქართული უნივერსიტეტის გახსნის მერე, საქართველოში ჩამოვიდოდა და თავის პროფესიულ საქმიანობას საქართველოში განაგრძობდა, თვალჭრელიძე გეოლოგი გახლდათ. 1914 წელს მოსკოვმა ნებართვა გასცა, რომ აშენებულიყო კერძო უნივერსიტეტები. ეს უფლებაც დაიშვებულ იქნა. ამ პროცესების შემდეგ ივანე ჯავახიშვილის ჩანაფიქრი რეალური გახდა, მისი მხრიდან ეს სერიოზული ნაბიჯი იყო, მაშინდელი საქართველოსთვის, ერთგვარი რისკი და შეუპოვრობა. ქართველმა მეცნიერმა კიდევ ერთი საინტერესო, მეცნიერება დაუტოვა საქართველოს: სიგელთა - დიპლომატიკა, რომელიც ყველა კულტურულ ერს არ მოეპოვება (ჯორბენაძე, 1984). საინტერესო კონცეფციას აჟღერებს ივანე გომართელი, ქართველი პუბლიცისტი მეოცე საუკუნეში და ამბობს, რომ ნაციონალიზმი, ადამინთა ინდივიდუალური და საზოგადოებრივი განვითარების შედეგია და მას სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში განსხვავებული სახე ჰქონდა. შეგვიძლია, მისი მსჯელობა დავაკავშიროთ ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების იდეასთან, რომ „ეროვნული საკითხი“, „ნაციონალიზმის“ ცნების განსაზღვრებით იწყება. ტყუილად არ ვუწოდებთ, მეოცე საუკუნის დამდეგს მეცნიერული აზროვნების ახალ რენესანსულ ეპოქას. სხვათაშორის უნგრელი ქართველოლოგი მარტონ იშტანოვიჩი ივანე ჯავახიშვილზე ამბობდა: „ასეთი მეცნიერები მხოლოდ რენესანსის აღორძინების ხანაში იბადებიან“. (იშტვანოვიჩი მარტონ, 1929) ივანე ჯავახიშვილთან ერთად ბევრი უცხოეთში მოღვაწე მეცნიერი მუშაობდა, საქართველოში მეცნიერების გავნითარებაზე. ქართულ ეროვნულ ნიადაგზე. თუმცა, ივ.ჯავახიშვილი იყო პირველი, ვინც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და ქართულ საზოგადოებას გამოფხიზლება უბიძგა. ქართველი ხალხი, კონკრეტულად ახალი თაობა უფრო ბრძოლისუნარიანი გახდა. უნივერსიტეტის შენარჩუნებისათვის მათ უწევდათ ბრძოლა და ისინი საკუთარი განათლებითა და ენთუზიაზმით ცდილობდნენ ეროვნული ღირებულებების დაცვას. ივანე ჯავახიშვილი საქართველოში მეცნიერების ფორმირებისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ისტორიის ფილოსოფიისა და მეთოდოლოგიის საკითხებს. მართლაც, რომ საზოგადოებამ ეროვნული გონისა და იდენტობის საჭიროება სწორედაც, რომ ისტორიის ცოდნისა და გაანალიზების მეშვეობით უნდა შეძლოს, ასეც მოხდა. მეოცე საუკუნის დამდეგიდან ისტორიული მოვლენების კვლევაში წინა პლანზე წამოვიდა ეროვნული გონის, ისტორიის საჭიროების, ინდივიდუალურობისა და სოციალური ერთობის, ეროვნულისა და საკაცობრიოს რთული პრობლემები. სამოქალაქო საზოგადოება და ეროვნული ღირებულებები ვითარდება, ისეთ გარემოში სადაც მოქალაქეებს გააზრებული აქვთ თავიანთი ქვეყნის ისტორიული კონცეფცია. ივანე ჯავახიშვილს ხვდა წილად განევითარებინა ქართველი ერის ისტორიული კონცეფცია და ამიტომაც ქართველი ერისათვის, შექმნა „ქართველი ერის ისტორია“. ამ ნაშრომში ავტორმა ჩააქსოვა: ქართველი ხალხის ეროვნული ყოფა, მისი ისტორიული ბედი და

ეროვნული გონის განვითარების ეტაპები. ივანე ჯავახიშვილმა საკუთარი ეროვნული პოზიციიდან შეიმუშავა „მამულიშვილობისა და მეცნიერულობის სიმბიოზის გზა. ორივე ავსებს ერთმანეთს, ამიტომაც მუშაობდა ამ საკითხების განვითარებაზე და ცდილობდა საკუთრი ნაშრომებითა და ლექციებით ახალი თაობისთვის ეროვნული თვითშეგნების იდეა წინა პლანზე წამოეწია, იმისათვის რომ საქართველოს და ქართველ ერს არ დაეკარგა საკუთარი ენა, ისტორია და კულტურული ღირებულებები. ივანე ჯავახიშვილის მიერ განხორციელდა გარდამტეხი ცვლილებები ცნებით ფორმირებაზე, ადამიანის სულიერ უნარებსა და გონით პროცესებზე. ივანე ჯავახიშვილი საკუთარ ლექციებში ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა საქართველოს ეროვნულ საკითხებსა თუ პრობლემებს. ახალგაზრდებს ყოველთვის მოუწოდებდა, რომ დაეცვათ საკუთარი ენა, კულტურა თუ ტრადიციები. მწერალმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ განვითარებაში საქართველოში. მეცნიერების საფუძვლებში დიდი წვლილი შეიტანა. გავრცელდა მოსაზრება, რომ ქართულ ფილოსოფიაში რენესანსის ხანა შეიქმნა. საინტერესოა შ.ხიდაშელის მოსაზრება ამის თაობაზე: „შემდეგ მეცნიერი, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებული შეხედულებანი გამოთქვა XII საუკუნის ქართული კულტურის მაღალ დონესა და, კერძოდ, ნეოპლატონიზმზე - ივ.ჯავახიშვილი იყო“. (მერი ჭელიძე). ივანე ჯავახიშვილი ახალ თაობას ახალ შემართებასა და ენთუზიაზმს უნერგავდა. ამას ამტკიცებს 1918 წლის 30 იანვრის წაკითხული ლექციის სამი ასპექტით გაჟღერება:

1) მოძღვრება ადამინზე
2) ადამიანის სოციალურ - ეთიკური იდეალები
3) ადამიანი ვითარცა მოღვაწე

(ივ.ჯავახიშვილის წერილების კრებული „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“ 1956) მარტო ახალგაზრდებისთვის არ ყოფილა ივანე ჯავახიშვილი დიდი მოტივაცია, არამედ მთელ საერთაშორისო საზოგადოებისათვის, ვისაც ეროვნული საკითხები და ღირებულებების შესწავლა აინტერესებდა. კ.გამსახურდია წერს: „მის შრომებს, მის დასკვნებს თვალს ადევნებდნენ, უცდიდნენ და ანგარიშს უწევდნენ მუდამ საბჭოთა კავშირის, ევროპისა და ამერიკის ისტორიკოსები და ორიენტალისტები“ (კრიტიკა, წიგნი1, 1956, გვ.293). „ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივი შეხედულებები ჩამოყალიბდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ნიადაგზე და ამ მოძრაობას იგი ბოლომდე მიყვა“ (მერი ჭელიძე)

თავი II - ეროვნული კონცეფცია, მისი მნიშვნელობა და იდეათა ანალიზი

ჩვენ შეგვიძლია ერნესტ გელნერის კონცეფცია დავაკავშიროთ ივანე ჯავახიშვილის იდეასა და შემოქმედების არსთან, უფრო სიღრმისეულად ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. გარდა ნაციონალიზმის ახლებური თეორიებისა, გელნერი ამბობს, რომ „პოლიტიკური და ეროვნული ერთობა ურთიერთთანხვედრილი უნდა იყოს“, ზუსტად, ამას ცდილობს ივანე ჯავახიშვილი, პირველ რიგში მისი პოლიტიკური განწყობილება უნდა გავიხსენოთ, რომ არცერთ პარტიას არ ემხრობოდა ბოლომდე, 1920 წლებში კი მძიმე რეალობის პირობებში, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიის წევრი იყო. ის უნივერსიტეტის დაარსებით, მეცნიერების განვითარებითა და საქართველოს ისტორიის დაწერით ცდილობს შექმნას ფუნდამენტური ღირებულებები. რომლითაც ქვეყანას და ერს ენიჭება წარმატებული მომავალი და განვითარებული ცხოვრება. ივანე ცდილობს ახალ თაობაში შეკრას მუხტი ეროვნული მისწრაფებებისა და სრულიად, შეცვალოს მათი მძიმე, შებოჭილი და რეპრესირებული ვითარება, რომელიც რუსეთისგან მომდინარეობდა. მწერალი ცდილობდა ნაციონალური განწყობა ახალ თაობაში ჩაენერგა. განათლებას უდიდესი როლი და გავლენა აქვს არამარტო ნაციონალურობის განვითარებისა და განმტკიცებაში, არამედ ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში, მოქალაქედ ფორმირებაში. განათლებას გაცემა და გაზიარება სჭირდებოდა, რაც მაშინდელი რეპრესირებული საქართველოსთვის მძიმედ შესასრულებელი მისია იყო და დიდი სითამამე და ძალისხმევა სჭირდებოდა. ივანე ჯავახიშვილმა ეს პროცესები ჯერ კიდევ პეტერბურგიდან დაიწყო და საქართველოში აგრძელებდა, თავის სამშობლოში. გელნერიც ამტკიცებს, რომ თაობები იცვლებიან და ამ პროცესებში არ უნდა დანებდნენ და მუდამ მზად უნდა იყვნენ ახალი გამოწვევებისათვის. ამ ყველაფერს იმით, ამტკიცებს რომ განათლების მიღებას, ამოცანების გადალახვას მუდმივი წვრთნა სჭირდება. თაობებს სჭირდებათ პრაქტიკა, ცოდნის მიღება გამოცდილებებითა და სახელმძღვანელოებით. (გელნერი, 2003, გვ 30). გელნერი ამბობს, რომ თუ ადამიანს სურს რომ მოქალაქედ იქცეს, საჭიროა „ნაციონალური“ საგანმანათლებლო სისტემით ხელმძღვანელობა. უმაღლესი განათლება ერთ-ერთი საჭირო საფეხურია, რათა თაობებს შორის ცოდნისა და ისტორიების გაცვლა მოხერხდეს და საბოლოოდ, მინიმალური პოლიტიკური - ეროვნული ერთობა

შედგეს. გელნერი მიიჩნევს, რომ კანონიერი განათლების მონოპოლია დრო და დრო უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურების გავლენა და მათი მონოპოლია. გელნერი დიდ ყურადღებას უთმობს განათლებას და მთლიან აქცენტს აკეთებს განათლების მეშვეობით ნაციონალიზმის წარმოშობა - გავრცელებაზე, ანუ მოდერნისტული თეორიის კულტურულ-სოციალისტური ტრანსფორმაციაა (გელნერი, 2003).

ნაციონალიზმთან და ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით საინტერესო შეხედულება აქვს ენტონი დ.სმიტს, რომელიც ღაღადებს რომ ნაციონალური განწყობა ჩაისახა ლიტერატურლ კაფეებსა და სამკითხველო დარბაზებში და კიდევ უფრო ამყარებს ჩემს დებულებას. სმიტის მიერ დასახელებული საკრარული ნიშნები, კიდევ უფრო მეტად ადასტურებს ნაციონალიზმის არსებობას. პირველ რიგში სმიტი ამბობს, რომ ეთნიკური ერთობა მნიშვნელოვანი გაერთიანებაა საზოგადოების, რომელთაც ბევრი საერთო კულტურული, ისტორიული და სოციალური მიჯაჭვულობა უნდა ჰქონდეთ. მისი აზრით ადამიანებს აკავშირებთ გარკვეულ ისტორიულ ტერიტორიასთან, მიწასთან მჭიდრო კავშირი. საინტერესო შეხედულება არსებობს მისი: ეთნოსსა და ერთან დაკავშირებით, სადაც ამბობს, რომ ეთნოსი, როცა მოიპოვებს დამოუკიდებლობასა და სახელმწიფოებრიობას ხდება ერი, ერის განვითარების ასპექტები და ნაციონალური იდენტობის გაღრმავება კი საკრარული ნიშნების განვითარებასთან ასოცირდება (სმიტი, 2004).

ჩვენ როდესაც ვსაუბრობთ სახელმწიფოში ეროვნულობის არსებობასა და განვითარებაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს ამ თემების შემკვრელი გარემოებანი სახელმწიფოში, რომლებსაც ჩემს ნაშრომში ნახსენები ადამიანები ჰქმნიდნენ. გავშალოთ მონსერატ გიბერნოს (გიბერნო, 2007, გვ25) შეხედულებები, სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობის ხუთი სტრატეგიის შესახებ:

1. გიბერნო საუბრობს სახელმწიფოში იმიჯის ფორმირებაზე და ამბობს, რომ ქვეყანაში ხალხის იმიჯი ეფუძნება საერთო წარსულს, კულტურას, ტრადიციებსა და საერთო ტერიტორიას.
2. მნიშვნელოვანი ფაქტორია ერთიანობის გრძნობის გაძლიერებისათვის, ეროვნული სიმბოლოებისა და რიტუალების დაარსება - დაწესება. ღონისძიებების არსებობა და აღნიშვნა.
3. მოქალაქეობის ინსტიტუციონალიზაცია ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რათა დაცული იყოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური თავისუფლებები. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ქვეყანაში თითოეული მოქალაქის თანასწორობისა და თავისუფლების დაცვას.

4. ეროვნული კონსოლიდაციის განმაპირობებელი ფაქტორია საერთო მტრის ხატის შექმნა, ეს მტერი შეიძლება იყოს რეალური, პოტენციური, გამოგონილი.
5. გიბერნო აღნიშნავს, რომ ზოგადად მასმედია და ეროვნული განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ერის იმიჯის შექმნასა და განვითარებაში.

ზემოთ, აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე მტკიცდება, რომ ეროვნული იდენტობის ფორმირებაში განსაკუთრებული როლი აქვს ერის კულტურასა და ეროვნული სიმბოლოების მაღალ დონეზე წარმოჩენას. (სმიტი, 2001, გვ 31).

ნაციონალურ იდეასთან დაკავშირებით საინტერესო დებულებები აქვს სმიტს, თითოეული მათგანი ამყარებს ჩემს მსჯელობას, რომ ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებამ და მოღვაწეობამ მნიშვნელოვან ეროვნულ იდენტობასა და ქართულ საერთო სულისკვეთებას ჩაუყარა საფუძველი. სმიტი ამბობს, რომ

1. მსოფლიო კი შედგება სხვადასხვა ტიპის ერებისაგან, თოთოეული მათგანი გამოირჩევა ისტორიის, რწმენითა და უნიკალური ხასიათით, რომელიც თითოეულ ერს განასხვავებს და მათ ეროვნულობას კრავს.
2. ყველაზე დიდი ლოიალურობა, ერისადმი ლოიალობაა.
3. პოლიტიკური ძალაუფლების ერთადერთი მნიშვნელოვანი ძალა - ერია.
4. პიროვნება, როდესაც რომელიმე ერს წარმოადგენს-(წარმოაჩენს), მხოლოდ მაშინ არის თავისუფალი.
5. თითოეული ერი და მისი წარმომადგენლები იღვწიან ავტონომიურობისა და თვითგამოხატვისკენ.
6. ყველაზე მთავარი დებულება: თუ მსოფლიოში იქნებიან ავტონომიური ერები, მაშინ იქნება მსოფლიოში თანასწორობა და მშვიდობა. (სმიტი, 2001, გვ 37)

ნაციონალიზმის უამრავი ტიპოლოგია არსებობს, თუმცა ჩემს თემასთან ყველაზე ახლოსაა ენტონი სმიტის (სმიტი, 1983) ფორმალური (გარე) და სუბსტანციური (შიდა) კრიტერიუმები. უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ ნაციონალისტური მოძრაობების კლასიფიცირება ამ ჯგუფებზე დაყრდნობით შესაძლოა განხორციელდეს. ამ კრიტერიუმების გამოყენებით და საკითხზე დაკვირვებით შეგვიძლია გავიგოთ, რამდენად წარმატებული და ხარისხიანია ეროვნული მოძრაობის ქმედებები, შეგვიძლია შიდა კრიტერიუმებით განვსაზღვროთ მათი ინტერესები, დავაკვირდეთ მათ მუშაობასა და შეხედულებებს. (ზურაბ დავითაშვილი, 2003)

ჯოზეფ ლობერას პრიმორდიალური თეორია არის ერთ-ერთი ამხსნელი თეორია, თუ როგორი მნიშვნელოვანია ნაციონალიზმის სიმტკიცისას ტრადიციისა და

ისტორიის აუცილებლობა ნებისმიერი საზოგადოების ცხოვრებაში. ლობერას თქმით, ეროვნული იდენტობა არის ჩვენი წარმომავლობა და საფუძველი „ჩვენი წინაპრების გზების“ შენარჩუნება და პატივისცემა. რაც შეეხება ცვლილებებს, ცვლილებები ბუნებრივია ნაციონალიზმში, თუმცა ის სწორი მიმართულებით უნდა იქნეს არჩეული. არ უნდა დაიკარგოს მთავარი და საწყისი ელემენტები, რითაც ნაციები იკვრება. ლობერასთვის ნაციონალიზმი მთავარი თეორიული და პოლიტიკური გამოწვევაა. იდეოლოგიაა, რომელიც ბოლო ორი საუკუნეა, განსაკუთრებით მწვავე განხილვის საკითხია. ერთ-ერთი მიზეზი ამ ყველაფრისა არის ერში დაუკმაყოფილებელი ნაციონალისტური მოთხოვნების არსებობა. ამის აღმოსაფხვრელად კი საჭიროა გაერთიანება და საერთო ეროვნული სოციალ-კულტურული სივრცის ჩამოყალიბება-შენარჩუნება. ლობერა ამბობს, რომ თითოეულმა ერმა საკუთარი ეროვნული იდენტობის ცნობიერება უნდა შეძლოს, საზოგადოებაში უნდა გაჩნდეს სოციალური თანაზიარების სუბიექტური გრძნობები, რომლებიც თუნდაც წარმოიქმნება ეროვნული დღესასწაულების დროს, კულტურული აღმასვლისა და განვითარების დროს. ლობერა, ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე, ერნესტ რენანის სიტყვებს იშველიებს „კონკრეტული ერისთვის: წარსულის ტრადიციები, მემკვიდრეობა და მეხსირება საერთო, თანაზიარ საკუთრებასთან ასოცირდება“ (ლობერა, 1994, გვ 16). ჯოზეფ ლობერასთვის მტკიცედ ჩამოყალიბებული ეროვნული კონცეფციები და ეროვნული, ჯანსაღი სულისკვეთება საზოგადოებაში ქმნის მყარ სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობას, რომელიც წინსვლაზეა ორიენტირებული. ლობერას თქმით, ყველა ერს უნდა გააჩნდეს საკუთარი კულტურული ღირებულებები და უნიკალურობა, რათა თითოეულმა ერმა მოიპოვოს ბედნიერებისა და ღირსების საკუთარი ცენტრი. ერს უნდა გააჩნდეს საკუთარი ენის, კულტურისა და „რიტუალების“ სიყვარული. ლობერა საუბრობს პრიმორდიალურ და პატრიოტულ სულისკვეთებაზე და იხსენებს, ერთ-ერთ გერმანელ, პატრიოტიზმით გამოჩენილ ადამიანს, ფრიდრიხ კარლ ფონ მოზერს, რომელსაც სწამდა ერთიანი გერმანელი ხალხის არსებობა. მათ აერთიანებდათ საერთო ენა, კულტურა და ინსტიტუტები. ასევე, აღნიშნავდა რომ მნიშვნელოვანი იყო გერმანულ ენაში ნაციონალისტური ლექსიკის ძირითადი ტერმინები, როგორიცაა: ეროვნული ენა, ისტორია, განათლება, ტრადიციები და მრავალი სხვა. ის გმობდა საკუთარი ერის ამაღლებას სხვის ხარჯზე, რადგან სურდა რომ ყველა ერს ჰქონოდა საკუთრი იდენტობა და განსაკუთრებულობა, რითიც იქნებოდა გამორჩეული. ლობერას, იოჰან გოტფრიდ ჰერდერის შეხედულებები მოჰყავს მაგალითად, სადაც ის ამბობს, რომ ამოსავალი წერტილი არის ადამიანი საზოგადოებაში: ადამიანი კულტურით და ენით. აქედან გამომდინარე, ვაკეთებთ დასკვნას, რომ ჯოზეფ ლობერასთვის მნიშვნელოვანია პრიმორდიალური საწყისები, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ვითარდება, ნამდვილი ეროვნული

ღირებულებები ყალიბდება და მისთვის, წარმოუდგენელია ადამაინი ინდივიდუალობისა და ადამიანთა ურთიერთობების მარეგულირებელი სისტემის გარეშე. მისთვის ერები მრავალფეროვანია და ამ მრავალსახოვნებას ადამიანები თავიანთი გამორჩეული ეთნიკური მახასიათებლებით ქმნიან (ლობერა, 1994, გვ166).

ახლა გავიხსენოთ, კულტურული მიდგომის ფენომენი. ე.წ „კულტურული პრიმორდიალიზმი". ედუარდ შილსი (შილსი, 1957) და კლიფორდ გეერტცი (გეერტცი, 1973) საუბრობენ ამ თემაზე და ამბობენ, რომ პრიმორდიალიზმი რამდენიმე იდეამდე დაიყვანება, პირველი და ყველაზე მთავარია 1. პრიმორდიალური კუთვნილება სულიერი და ბუნებრივია, და არა სოციალური. 2. ეროვნული იდენტობა პრიმორდიალურია. ეს თემა აპრიორად არის მოცემული. შილსი ამბობს, რომ კულტურული პრიმორდილიზმი, შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც მიდგომა, რომელიც ეფუძნება „თვით ინდივიდების შექმნილ ღირებულებათა ერთობას".(ზურაბ დავითაშვილი, 94).

„კულტურული პრიმორდიალიზმის" ერთ-ერთი თავლსაჩინო წარმომადგენელია უ.ოზკირიმლი (ოზკირიმლი, 2000)[2], რომელიც ფიქრობს წინაპრების პატივისცემა და მათი ცხოვრებისა და ისტორიის შესწვალა ამ მიმდინარეობას უფრო აძლიერებს. მეცნიერები - მკვლევრები, რომლებიც თავს მიიჩნევენ მათ წინაპრებთან დაკავშირებულად, ესეც ამ მიმართულების ერთ-ერთი ასპექტია. ისინი პატივს სცემენ თავიანთ ისტორიას, კულტურასა და წარსულს. ოზკირიმლის ერთ-ერთი არგუმენტად და ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელად მოჰყავს, ვოლკერ კონორი. კონორი ამბობს, რომ საერთო წინაპრებიდან მომდინარეობს ერთიანი კულტურისა და ისტორიის შენარჩუნება. აქედან გამოგვაქვს დასკვნა, რომ პიროვნებები, ან ინდივიდები დაკავშირებულნი არიან თავიანთი კულტურის ნიშნებთან და ელემენტებთან. ეს დამოკიდებულება არის წარსულისა და აწმყოს გაერთიანება.(Walker Connor 1994).[3] პრიმორდიალისტებისთვის მთავარი აქსიომაა ეთნიკური და ეროვნული კავშირების ბუნება - მათი ურთიერთკავშირი. ვიცით, რომ ერნესტ გელნერი (გელნერი, 1997) მოდერნისტული მიდგომის წარმომადგენელია. მას მაგალითები მოჰყავს, როგორი შეიძლება იყოს ნამდვილი და სრულყოფილი ერი, რომელიც ეროვნულ და ისტორიულ ღირებულებებს ემყარება, ხოლო ზოგიერთი ერი, როგორი ცარიელია ეროვნულობით. მაგალითად: ესტონელები. მათზე ამბობს,

[2] UMUT OZKIRIMLI, Theories of Nationalism – A Critical Introduction, 2000
https://www.scribd.com/document/431133175/Umut-Ozk%C4%B1r%C4%B1ml%C4%B1-Theories-of-Nationalism-a-Critical-Introduction-Palgrave-Macmillan-2010
[3] Walker Connor. ETHNONATIONALISM: The Quest for Understanding, 1994
https://www.jstor.org/stable/j.ctv39x5s6

რომ XIX საუკუნამდე მათ არ გააჩნდათ საერთო სახელი, არც ეროვნული საერთო მჭიდრო ღირებულებები, მხოლოდ მაშინ გაერთიანდნენ როცა რუსეთის იმპერია დაიშალაო. სამაგიეროდ, ჩეხებზე განსხვავებულად საუბრობს და ამბობს, რომ ისინი ნაციონალისტურმა პროპაგანდამ გადაარჩინა. გელნერი ჩეხებს მიიჩნევს ერად (ზურაბ დავითაშვილი, 2003, გვ 97). თომას მასარიკის თეორიის მიხედვით, ჩეხების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ეფუძნება ჩეხი ხალხის სახელმწიფოებრიობასა და ერთიანობას. ამ გაერთიანებისა და სიმტკიცის ელემენტებია: მაღალი კულტურის ქონა, ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა XIV საუკუნეში პრაღის უნივერსიტეტის დაარსება, ძველი ეროვნული თვითშეგნების არსებობა საზოგადოებაში, მაგალითად იან ჰუსის მოძრაობა. ამ თემებით ამყარებს ერის სახელმწიფოებრიობას თომას მასარაკი (მასარაკი, 2003).[4] პრიმორდიალისტები ამტკიცებენ, რომ ინდივიდი პირველ ყოვლისა იყენებს საკუთარ ეროვნულ კუთვნილებასა და ღირსებას, შემდეგ კი სქესს, რელიგიას, ოჯახურ მდგომარეობას, განათლების დონეს, პროფესიას. აქ გამოკვეთილია რა არის პრიორიტეტული და რა არა. შესაძლოა რაღაცები დროთა განმავლობაში იცვლებოდეს, მაგრამ ეს ყოველივე დამოკიდებული იქნება ამა თუ იმ ელემენტის როლისა და მნიშვნელობის ცვლილებაზე. ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა უკავშირდება ქართული ენისა და ზოგადად, ქვეყნის ისტორიის პატივისცემას, მისი შემოქმედება ცალსახად უკავშირდება ეროვნული იდეების განვრცობას. ამ თემაზე საუბრისას მახსენდება ენტონი დ.სმიტის ექვსი მთავარი მახასიათებელი ეთნიკური ერთობის შესახებ, რომლებიც საზოგადოება ჯამში ერთ ეროვნულ იდეამდე მიყავს:

1. საერთო წინაპარი.
2. კოლექტიური-საერთო სახელი.
3. საერთო ისტორიული მეხსიერება.
4. საერთო კულტურის ელემენტები.
5. განსაკუთრებული დამოკიდებულება მშობლიურ მიწა-წყალთან.
6. საზოგადოებაში სოლიდარობის გრძნობა.

ამ საკითხების განხილვით ჩვენ არა მარტო „ეთნიეს“ არსებობას ვხსნით, არამედ ეროვნული ღირებულებების გატარებას ვხსნით, ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის გავლით და მის შედეგობრიობას. ჩემს თემასთან მიმართებაში საინტერესოა, სმიტის შეხედულება ნაციასთან დაკავშირებით, სადაც ამბობს რომ ეროვნული ერთობა რამდენიმე რეალობას ერთმანეთთან კრავს, მაგალითად სამოქალაქო და ტერიტორიული, მეორე მხრივ ეთნიკური და

[4] IDEALES HUMANISTAS, TOMAS GARRIGUE MASARYK, 2003
https://www.scribd.com/document/590976118/Ideales-Humanistas-Tomas-Garrigue-Masaryk

გენეალოგიური. კონცეპტუალურად, ნაცია აერთიანებს ამ ყოველივეს, შესაბამისად ვაანალიზებთ, რომ ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება მნიშვნელოვანი ფენომენია. სმიტის განსაზღვრებით, ეს მრავალგანზომილებიანობა ნაციონალურ იდენტობას უფრო მეტად მოქნილსა და მყარს ქმნის - თანამედროვე ცხოვრებაში. მხოლოდ და მხოლოდ, ამ იდენტობასა და ერთობას შეუძლია თავისი თავისთავადობის დაკარგვის გარეშე შეუერთდეს ხარისხიანად სხვა წამყვან იდეოლოგიებსა და ახალ მოძრაობებს. სახელმწიფოებრიობისთვის მნიშვნელოვანი ამოსავალი წერტილია მდგრადი ეროვნული სულისკვეთების არსებობა. პირველ ყოვლისა, ხომ ნაცია განსაზღვრავს გარკვეულ სოციალურ სივრცეს, რომელშიც უნდა იარსებონ, იცხოვრონ და იმუშაონ მუდმივად მისმა წევრებმა (სმიტი, 2008, გვ 25) ივანე ჯავახიშვილთან აღმოჩნდა „მძაფრი ნოსტალგია“ და „სულიერი მიჯაჭვულობა“, რომელმაც განაპირობა მისი მრავალფეროვანი შემოქმედება. იგი ხანგრძლივად იყო მოწყვეტილი საკუთარ სამშობლოს. სწორედ ამ სკითხს უკავშირდება სმიტის „საკრარული მიწის“ არსებობა. (სმიტი, 2008 გვ 29). ნაციონალური იდენტობის განსაზღვრებისას სმიტი, ამბობს რომ ხელოვნების აღორძინებამ და კლასიკური აზროვნების გამოღვიძებამ ხელი შეუწყო დროის ახლებურ აღქმას და მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა თანამედროვეობისა და ძველი ცივილიზაციების ისტორიულ შედარებას. ნაციონალური გენიის ჩამოყალიბება, ხომ რთული და ხანგრძლივი პროცესია, მისი შენარჩუნება და განვითარება კიდევ უფრო მეტად რთული ამბავია. სმიტი ამიტომაც აღნიშნავს, რომ ამ ნაციონალურ იდენტობაში მნიშვნელოვანი როლი უკავია „ისტორიზმს“ - რწმენა იმისა, რომ საზოგადოება ხომ ჩნდება, კულტურა ვითარდება, ერები იზრდებიან, ყვავიან და ბოლოს იშლებიან- სიმტკიცის არქონის გამო (თუ ეს ასე მოხდა). მნიშვნელოვანი ფენომენია გამორკვევა წარსულისა და აწმყოსი და მათი შედარება, რათა გამოაშკარავდეს სინამდვილე. ენტონი დ.სმიტი აღნიშნავს:

„პიროვნებებისა და მოვლენების მათთვის შესაფერის ისტორიული პერიოდი და მოვლენა გამოისახოს ისე, „როგორც ის სინამდვილეში მოხდა“, შესაძლებლობას იძლეოდა შეეგრძნოთ ისტორიული მოვლენა და პროცესი და, აქედან გამომდინარე, გაეგოთ, თუ როგორ ჩამოყალიბდა თანამედროვე სინამდვილე“ (სმიტი, 2008, გვ 108). „ისტორიზმის“ პრინციპი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია ნაციონალიზმზე საუბრის დროს, რადგან მისი მეშვეობით შესაძლებელია წარსულის (ტრადიციის), აწმყოსა (მიზეზის) და მომავლის (სრულყოფის) ინტეგრაცია. (სმიტი, 2008, გვ121). გვ 121.

ცნობილი ფრანგი განმანათლებელი ჟან-ჟაკ რუსო აღნიშნავდა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია „ნაციონალური ინდივიდუალობის“ შენარჩუნება,

მიზნისთვის კი უნდა დაწყებულიყო ნაციის ჩვეულებების, წესების კულტივირება და დაცვა. მისთვის მნიშვნელოვანი იყო, მამულის შენარჩუნებისათვის ქვეყანაში განა კედლების არამედ ზნეობის, კანონების და ზნე-ჩვეულებების შენარჩუნება“.(სმიტი, 2008, გვ 109).

ივანე ჯავახიშვილი იყო განმანათლებელი, საზოგადო მოღვაწე და ინტელექტუალი. ნაციონალიზმი ბევრ ინტელექტუალს იზიდავდა. ჩნდება კითხვა რატომ? ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ თეზისი, რომ ნაციონალური იდენტობის გრძნობა ინტელექტუალების „იდენტობის კრიზისის“ გადაწყვეტაა. ამ კრიზისის მახასიათებლები ყველა ნაციონალიზმში განსხვავებულად შეგვიძლია აღვიქვათ. ყველა ინტელექტუალის გონებაში ეს კრიზისი განსხვავებულია. ადამაინი, როდესაც გრძნობს ამ „იდენტობის კრიზისს“ ამის გამაღრმავებელი ფაქტორი, სახელმწიფოს წიაღიდან მომდინარეობს. როდესაც ინტელექტუალები ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, ისინი ცდილობდნენ მოეძებნათ ისეთი ცნებები და პრინციპები, რათა ლეგიტიმაცია მოეხდინათ და საფუძველი მოეძებნათ საკაცობრიო აზრისა და ქმედებისთვის (სმიტი, 2008). პირველ რიგში, თეზისი სწორად უნდა იქნეს ფორმულირებული, ამ საკითხის განზოგადება არ შეიძლება, არც სხვა კლასებზე და ფენებზე. მყარად მდგარი ნაციონალიზმი სხვადასხვა გარემოებებიდან იღებს თვისებებს, ერთ-ერთ გარემოებაში შეგვიძლია მივიჩნიოთ ინტელექტუალების გავლენა და ზემოქმედება. შესაძლოა ბევრი, ინტელექტუალი არ ყოფილა ნაციონალური იდეებით შეპყრობილი, თუმცა უმეტესობა იყო და ეს თეზისი ახსნაა, იმისა თუ რატომ შეიძლება ინტელექტუალებს იზიდავდეს ნაციონალიზმი (იქვე გვ120). მათ შორის ივანე ჯავახიშვილმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ნაციონალიზმის გადმოსახედიდან ქართული ისტორიის აკინძვასა და ენის განვითარებაზე. სმიტი სვამს ერთ საინტერესო კითხვას, თუ როგორ შეიძლება საერთო კულტურული საფუძვლის ჩამოყალიბება. პასუხი ოთხი ასპექტისგან შედგება:

1. „მაღალი“ მწიგნობრული კულტურის შექმნა.
2. კულტურულად ჰომოგენური ერთობის შექმნა.
3. „სამშობლოს“ დაცვა და მისი დამოუკიდებლობისათვის ყველაფრის გაკეთება.
4. პასიური ერთობა - აქტიური და მიზანსწრაფული გახდეს.

ბუნებრივია, ყველა ეთნოსს განსხვავებული „ეთნოისტორია“ აქვს, თუმცა ზემოთ აღნიშნული ასპექტები ყველა ეთნოსისთვისაა გასათვალისწინებელი. (სმიტი, 2008, გვ 158). ივანე ჯავახიშვილი ხშირად იყენებდა სიტყვა „თემს“, „ეთნოსს“. ეთნოსი ხალხის კულტურის, ერთობის, ისტორიის აღმნიშვნელი იყო. თემი კი

ეთნოგრაფიულ-დიალექტური ერთეულების და კუთხურობის. მიუხედავად, იმისა რომ მეცნიერი ფლობდა ნომენკლატურის შესახებ ცოდნას, არასდროს მის ნაშრომებში არ ვხვდებოდით სიტყვებს: მეგრელები, გურულები ან კახელები... თითოეული მათგანის შემთხვევაში იყენებდა სიტყვა „თემს“ და ამბობდა, რომ თითოეული მათგანი იყო ქართველი. მუდმივად აღნიშნავდა, რომ ქართველი ეთნოსი (ერი) ხანგრძლივი მოღვაწეობის, მსხვერპლის, თავგანწირვის, ცხოვრების, შემოქმედებისა და დიდი შრომის შედეგად მიღებული „ეთნოსოციალური ორგანიზმია“(რ.თოფჩიშვილი, 2005, გვ32).

თავი III - სოციოლოგიური კვლევების როლი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის

საინტერესოა, 1910-1912 წლებში ივანე ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევები, რომლებიც ემპირიულ ხასიათს ატარებს და ერთი მიზნის მატარებელია - საქართველო და ქართველები. ამ პერიოდში პირველი ნაბიჯები იდგმებოდა სოციოლოგიაში, ემპირიული კვლევის მიმართულებით, ჯავახიშვილმა კი თავისი წვლილიც შეიტანა ამ საქმეში. მისი გამოკვლევებიც აღმოჩნდა ყურადსაღები. ვიცით, რომ ივანე ჯავახიშვილს ჰქონდა მეცნიერული კვლევის უნარი, კვლევაში სიახლეების წარმოჩენით გამოირჩეოდა. მეცნიერის სოციოლოგიური ძიებანი ორი სახის იყო:

1) ქართული სოფლის სოციოლოგიური ანალიზი.
2) სტუდენტი ახალგაზრდობის პრობლემების კვლევა.

პირველ თემაში იკვლევდა ქართულ სოფელს, სოფლის სოციოლოგიურ შემეცნებას დაუთმო დიდი დრო და შეადგინა სოფლური განსახლების სტრუქტურა. თითოეული მათგანი აღწერა და ახსნა, ამ ტერიტორიებზე განსახლებები რითი გამოირჩეოდა. სოფლის განსახლების შესახებ კვლევა განმეორებით ჩატარდა სტუდენტებთან ერთად. მეორე საკითხი ეხებოდა ქართველი ახალგაზრდების კვლევას. მკვლევარმა შეადგინა ანკეტები ქართულ და რუსულ ენაზე და ავრცელებდა მათ სხვადასხვა ქვეყნებში. 1912 წლიდან იწყება სტუდენტი ახალგაზრდობის ემპირიულ-სოციოლოგიური შესწავლა. აღწერა ანკეტური ტიპის იყო, ქართულ ენაზე იყო 15 კითხვიანი და რუსულ ენაზე 57 კითხვიანი. ჩვენთვის ნათლად ცნობილია საანკეტო ფურცელი ქართულ ენაზე, „ქართველ სტუდენტობის ყოფა-ცხოვრების გამოსარკვევად“ (ედვარდ კოდუა, 2001).

კითხვარი:

1) ვაჟი ხართ თუ ქალი? უცოლო თუ ცოლიანი? გაუთხოვარი თუ გათხოვილი? ცოლის ეროვნება? ქმრის ეროვნება?
2) თქვენი წოდება? სარწმუნოება?თქვენი წლოვანება?
3) სადაური ხართ?
4) სად ისწავლეთ? როდის?
5) რა გვარი საშუალო სასწავლებელი გაათავეთ?
6) რამდენი ფული გაქვთ თვიურად სახარჯავად და ვისგან მოგდით?
7) თვიური ხარჯი რამდენია?
8) თუ რაიმე ავადმყოფობა ან სენი გჭირთ, რომელი და სად დაგემართათ?
9) რა საგანი გაინტერესებთ სპეციალურად?
10) იღებთ თუ არა მონაწილეობას ქართულს ან სხვა სათვისტომოში, აგრეთვე სამეცნიერო წრეებში (დაასახელეთ).
11) რამდენად იცით და შესწავლილი გაქვთ ქართული ლიტერატურა და ისტორია?
12) ქართულს გარდა იცით ან მეგრულ-ჭანური, ან სვანური, ან აფხაზური?
13) რა უცხო ენები იცით კარგად?
14) თანამშრომლობთ თუ არა ქართულ ან უცხო ჟურნალ-გაზეთებში?
15) რომელ პოლიტიკურ მიმართულებას თანაუგრძნობთ ჩვენში?

ამ კითხვარის მიზანი ქართველი სტუდენტების ყოფა-ცხოვრების გამოკვლევა იყო. ანკეტას ჰქონდა ბიოგრაფიული მონაცემების, ეკონომიკური მდგომარეობის, დემოგრაფიული ასპექტებისა და ღირებულებითი საკითხების გამოსაკვლევი კითხვები. ივანე ჯავახიშვილი ცდილობდა ეს ყოველივე შეესწავლა და გაეანალიზებინა ქართველი სტუდენტების დამოკიდებულება საქართველოსა და ქართული ენის მიმართ. მეცნიერს აინტერესებდა, რამდენად ღრმად იყო მათში მშობლიური ქვეყნის ნოსტალგია და სურვილი დაბრუნებოდნენ საკუთარ მიწა - წყალს. ამ დროს ოდესის პოლიცია ეჭვებში იყო, თუ რა ხდებოდა ამ ყველაფრის მიღმა. სხვათაშორის, ქართველი სტუდენტების პრეტენზიები იყო მსგავსი, რომ საქართველოში ყველაფერი რუსულ ენაზეაო და როგორ უნდა გვესწავლაო ქართული ლიტერატურა საფუძვლიანადაო. არ მოსწონდათ ქართველი საზოგადო მოღვაწეების დამახინჯებული და შეკვეცილი გვარები: ჯავახიშვილი=ჯავახოვი. მელიქიშვილი=მელიქოვი...ქართველებსაც ჰქონდათ უპატივცემულობის განცდა, რომელსაც ესე ხმამაღლა ვერ აცხადებდნენ, მხოლოდ მოკრძალებულად, ჩუმად, კრძალულებით და ისიც სანდო ადამიანებთან. როგორც მაგალითად ივანე ჯავახიშვილი იყო. კვლევების შემდგომ, პეტერბურგის უნივერსიტეტის მთელ სამეცნიერო წრესა და მის

ხელმძღვანელს სრული წარმოდგენა ჰქონდათ იმაზე, თუ რა ძალები იყო საქართველოს გარეთ ქართველი სტუდენტების სახით, რა სპეციალობას ეუფლებოდა 1000-ზე მეტი ქართველი სტუდენტი. ივანე ჯავახიშვილს შესწავლილი ჰქონდა მათი დამოკიდებულება ქართული კულტურისადმი, ასევე ფიქრობდა, რამდენად შეიძლებოდა ჰქონოდა მათი იმედი, ქართული უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებით, ან რამდენად გამოადგებოდა ისინი საქართველოს სახალხო მეურნეობას. (სერგო ჯორბენაძე, 1984). ივანე ჯავახიშვილი იყო ღრმად გათვითცნობიერებული მოაზროვნე ფილოსოფიასა და ქართული ფილოსოფიის ისტორიის საკითხებში 1876-1940 წწ. ის მარტო ისტორიის მკვლევარი არ ყოფილა. ხშირად სამეცნიერო მივლინება ჰქონდა გერმანიაში, ისტორიის დარგში სერიოზულ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა და ამის გამო მან ბევრი სიგელი მოიპოვა. ბერლინის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტის „ნამდვილ წევრადაც“ კი აღიარეს. გერმანიიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში დაბრუნებულამ 1902 წლის 18 ნოემბერს წაიკითხა ლექცია სათაურით „აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოსა და სომხეთის ისტორიის მონაცემები“, რომლის საფუძველზეც მან პრივატ-დოცენტის წოდება მოიპოვა, საქართველოს ისტორიის კურსის წაკითხვის უფლებასთან ერთად. (მერი ჭელიძე, 2002).

ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „შესავალი ქართველი ერის ისტორიაში“ წერდა ჭეშმარიტებას საქართველოსა და ქართველი ხალხის შესახებ. ერთ-ერთ თავში საუბრობს დასავლეთ საქართველოზე და ამბობს, რომ ქართველური ტომები წარმოადგენდნენ საქართველოს ტერიტორიის ძირძველ და ავტოქტონურ მოსახლეობას. ეს თეორია ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილსა და სიმონ ჯანაშიას, რომელიც 2023 წლის ნოემბერში დადასტურდა და ისტორიული კვლევების სახელით მოიხსენიებენ. კვლევას ოქსფორდის უნივერსიტეტი ანხორციელებდა. ამ კვლევის ჩასატარებლად მეცნიერებმა აიღეს დნმ-ს ნიმუშები, დაახლოებით, 500 მდე პიროვნებისაგან, რომლებიც სამეგრელოს სხვადასხვა რაიონებში ცხოვრობდნენ. მეგრელების გენში გამოიკვეთა ევრაზიული ჰაპლოჯგუფები, აღმოსავლეთ ევრაზიული ჰაპლოჯგუფების სიხშირე კი დაბალი აღმოჩნდა. აღნიშნული პიროვნებების დნმ შედარებულ იქნა ბრინჯაოს დროინდელ ძველ ნიმუშებს. ამ კვლევამ ბევრი მითი რეალური გახადა, მათ შორის ისიც რომ მეგრელები გენეტიკურად სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის მსგავსს კლასტერში შედიან, ასევე ისიც რომ მეგრელები ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე სულ მცირე ბრინჯაოს

ხანიდან მოღვაწეობენ (Kirk lohmueller, 2023)[5]. გარდა ამისა, ორი დიდი ქართველიც ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილიც წერდა კოლხური სიდიადისა და სიძველის შესახებ.

3.1ქართული ენისადმი სწრაფვა, როგორც „ჭეშმარიტებისკენ სვლა

პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული სიტყვიერების კათედრა 1845 წლიდან მოქმედებდა. სულ იყო ოთხი ფაკულტეტი: მან აირჩია აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. აქ იყო ერთადერთი ქართული სიტყვიერების კათედრა, ასევე კარგად ესმოდა, რომ ამ ფაკულტეტზე სწავლით მას მომავალში შეეძლებოდა ყველაზე მეტი სარგებლობა მოეტანა სამშობლოსათვის. სამშობლოს კულტურის უსაზღვრო ტრფიალი, ახალგაზრდის გულს მოუწოდებდა ყველაფერი ის შეესწავლა, რაც საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევისათვის გამოადგებოდა. მღელვარებით ადევნებდა თვალყურს ივანე ჯავახიშვილი ყველაფერს, რაც ერს სულიერ ძალღონეს მატებდა. ნიკო მარი მისი პედაგოგი, ამბობდა მასზე ნიჭიერი მოწაფე მე არ მყოლიაო. ისტორიკოსი, როდესაც წყაროებს შეისწავლიდა წმინდა ნინოსა და ანდრია პირველწოდებულის შესახებ, ზოგადად საქართველოში ქრისტიანობის შესახებ, ჰქონდა თავისი შეხედულებები ამ თემებთან დაკავშირებით, ხშირად ზოგისთვის დამაბნეველი. ერთ დღეს, მამამისმა მიწერა წერილი: „შვილო, როგორც მამა, გირჩევ შენი საკუთარი ჭეშმარიტების თვალით შეხედო ყველაფერს, ნუ აჰყვები, მარის ქართულის საწინააღმდეგო მიმართულებას“, მამამისსაც კი ანაღვლებდა მისი თითოეული ნაბიჯი, განსაკუთრებით მაშინ თუ ეს ქართულ თემატიკასთან იყო დაკავშირებული. საინტერესოა ახალგაზრდა ივანეს პასუხი მამას: „ძველ ხანას და ძველ ადამიანებს მიეტევებათ ლეგენდების შექმნა, მაგრამ თავის მხრივ ჩვენ გვევალება განვასხვაოთ ლეგენდები ისტორიული ჭეშმარიტებისაგან“ (ჯორბენაძე, 1984) ნიკო მარი აღნიშნავს, რომ ქართული სიტყვიერება უაღრესად არსებით როლს თამაშობდა მის შემოქმედებაში. თავისი ქართული წერის დისციპლინას, როგორც ჩანს სამაგისტრო გამოცდების დროსაც ამჟღავნებდა. ამ გამოცდების შემდგომ ივანე ჯავახიშვილი გახდა „ქართული სიტყვიერების მაგისტრანტი“. აღსანიშნავია, მისი მოგზაურობა სინას მთაზე, სადაც ქართული ხელნაწერები შეისწავლა ნიკო მართან ერთად. უძველესი ქართული ხელნაწერები სწორედ აქ იყო დაცული, სწორედ სინას მთაა ყველაზე ადრეული და უშორესი

[5] Kirk lohmueller, Genetic Analysis of Mingrelians Reveals Long-Term Continuity of Populations in Western Georgia (Caucasus), Genome Biology and Evolution, 03/11/2023. https://academic.oup.com/gbe/article/15/11/evad198/7341981?login=false

ცენტრი საქართველოს კულტურული კავშირისა ქრისტიანულ აღმოსავლეთთან. ალექსანდრე ცაგარელის მიერ, ადრე აღმოჩენილ სინურ მრავალთავს, სწორედ, ქართველმა ისტორიკოსმა მიაგნო ხელმეორედ!

ნიკო მარმა და ივანე ჯავახიშვილმა ქართული ხელნაწერები ორ თანაბარ ნაწილად გაიყვეს. პირველ ნაწილს ივანე ჯავახიშილი სწავლობდა, მეორეს ნიკო მარი. ისტორიკოსის პირველივე ლექციაში გამოსჭვივის საქართველოში სოციალური ბრძოლის მოვლენები, მაგრამ ამ შემართებით ბრძოლას და სირთულეებთან გამკლავებას მეცნიერი დიდი სიამაყით გამოხატავს. ივანე ჯავახიშვილამდე საქართველოს მთელს ისტორიაში არ ყოფილა სხვა მკვლევარი, რომელსაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ისტორიის, ისტორიის ფილოსოფიის ღრმა ცოდნით შეძლებოდა, წარმოედგინა საქართველოს ადგილი და როლი მთლიანად მსოფლიო ისტორიის ჭრილში. (ჯორბენაძე, 1984). პეტერბურგში, ჯავახიშვილი ატარებდა ორ საცდელ ლექციას: ერთი მათგანი საქართველოს საეკლესიო წყობილებათა ცვლილების ისტორიას, მეორე კი აღმოსავლეთის ისტორიის მკვლევართა საზოგადო კითხვებს ეხებოდა. 1903 წელს კითხულობდა საქართველოში ეკლესიის ნაციონალიზაციის ისტორიას VI-XII საუკუნეებში, კვირაში - სამი საათი და სამხეთის სოციალურ წყობილებას V-საუკუნეში - ორი საათი. „მეცნიერების სამსახური სამშობლოს სამსახურიაო“ ამ ყველაფერს ივანე ჯავახიშვილი ივანე ნიჟარაძეს უყვებოდა, თავის მეგობარს. ივანე ნიჟარაძე იცნობდა ქართველ მოტივირებულ და მოწინავე ახალგაზრდებს, რომელთა მიზანი იყო საქართველოს მოსახლეობისათვის წარმატებისა და განვითარებულ სამოქალაქო საზოგადოებაში ცხოვრება. ქართველი ისტორიკოსი კი მუდიმვად გატაცებული იყო ქართველი ხალხის წარსულით. პირველად, სვანური საუბარი ნიჟარაძისგან მოისმინა, ძლიერ მოიხიბლა და ისწავლა კიდეც. (ტროფიმე ხუნდაძე, 1968).[6] ივანე ჯავახიშვილი არ ნებდება და ცდილობს განაგრძოს სვლა საკუთარი ერის შვილების განათლებას და მათთვის მაქსიმალურის მიწოდებას. პეტერბურგში დაარსდა ქართული ისტორიის სექცია. მხოლოდ და მხოლოდ, ოცი ადამიანი იღებდა მონაწილეობას. ივანე საქართველოს ისტორიის საზოგადო კურსს კითხულობს, რაც ჯერ კიდევ დაუბეჭდავი აქვს. მას არ უყვარდა ადამიანები, რომლებიც თავიანთ საქმეს გულგრილობით ეპყრობოდნენ. მას ჰქონდა მოტივაცია, მონდომება საქმისა და ხედვა წინსვლისა, შროსმჭვრეტელი ადამიანი იყო, ამიტომაც ეძებდა ქართველს ყველგან და იმახსოვრებდა მათ გულითადად, რომ შემდგომ შემოეკრიბა ისინი ერთი მთავარი საქმის ასაყვავებლად, ეს საქმე კი ვიცით უნივერსიტეტს დაუკავშირდა 1918 წელს. გარდა ამისა, „საბინაო უნივერსიტეტი“ ჩამოაყალიბა, ჩუმად კითხულობდა ლექციებს

[6] წყარო: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული III, თბილისი, 1968 http://nateba.webbreeze.net/biographies/147-nijaradze

ქართულ ენაზე. ეს პროცესები ვითარდებოდა და ქართველებსაც მეტი სითამამე ეძლეოდათ. საქართველოშიც გაგრძელდა საჯარო ლექციები, რომლებიც სისტემატურად გრძელდებოდა. ქართული კულტურის საკითხები კიდევ უფრო მეტად გაღრმავდა, როდესაც ქართველთა მეორე დიდმა შვილმა ექვთიმე თაყაიშვილმა დაარსა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“, თაყაიშვილმა ივანე ჯავახიშვილი მიიწვია და საზოგადოების თავჯდომარეობაც კი შესთავაზა. „ერთგვარ სახალხო უნივერსიტეტის ხასიათს მისცემდაო“ - ამბობდა ექვთიმე თაყაიშვილი. ქართველ ისტორიკოსს ყოველივე ძალიან გაუხარდა, თუმცა მაშინ ვერ შეძლო. (ჯორბენაძე, 1984). მეცნიერი ყოველთვის აკვირდებოდა საქართველოში არსებულ მოვლენებს და მათზე თავისუფლად საუბრობდა, რა სასიკეთოდ ესახებოდა ქვეყნის მომავლისათვის და რა არა. მისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ქართველ ხალხში ეროვნული სულისკვეთება დაენახა, ამით თვითონაც მოტივაცია ეძლეოდა გაეკეთებინა მეტი, დაეწერა მეტი, წაეკითხა და ემუშავა მეტი ქართველი ხალხის სიამაყის განმტკიცებისათვის. მხარს უჭერდა სახალხო აგრარულ მოძრაობას, კონკრეტულად გურიის აჯანყებაზე (1841) საუბრობდა, მოსწონდა გურიის გლეხების გამოსვლები, რომელიც რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ იყო მიმართული. გურიაში კი მაშინ რუსული სამოქალაქო სისტემის ჩამოყალიბებას აპროტესტებდნენ. ჯავახიშვილს მოსწონდა - ხალხის მოძრაობა და შინაგარი ხელშეუხებლობის გამოხატვა. როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე იტყოდა:

„მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი...“. ივანე ჯავახიშვილი დიდ პატივს სცემდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, ეროვნული, უდრეკი სულისკვეთების გამო.

„ერთნაირი პირობები, მთელს საქართველოში არსებული, ხელს უწყობენ მთელს საქართევლოს ტერიტორიაზე მოძრაობის სწრაფ გავრცელაბას და რაც დრო გადიოდა, ეს მოძრაობა უფრო და უფრო იზრდებოდა აგრარულ და პოლიტიკურ მოძრაობად“ - ცენზურა წერს მსგავს წერილს. ამბობდნენ, რომ ივანე ჯავახიშვილი სასჯელის ღირსი იყო. (ჯორბენაძე, 1984). ივანე ჯავახიშვილმა შეადგინა საქართველოს რუქა[7] და გამოსცა პარიზში 1919 წელს. პარიზის სამშვიდობა კონფერენციაზე ივ. ჯავახიშვილმა მოითხოვა ჩვენი ქვეყნის ცნობა რუქაზე მოხაზულ საზღვრებში.[8]

---

[7] საქართველოს ისტორიული რუქა, პროფ. ივ.ჯავახიშვილის რედაქტორობით, file:///C:/Users/User/Desktop/BACH/r11%20(1).webp

[8] ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი საქართველოს რუქა (1919წ), https://burusi.wordpress.com/2009/06/28/%e1%83%98%e1%83%95%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%94-%e1%83%af%e1%83%90%e1%83%95%e1%83%90%e1%83%ae%e1%83%98%e1%83%a8%e1%83%95%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%94%e1%83%a0/

საინტერესო შეხედულებები და მოგონებები არსებობს ივანე ჯავახიშვილთან დაკავშირებით, რომლებსაც მკვლევრები, მეგობრები, სტუდენტები და ოჯახის წევრები იხსენებენ. აკადემიკოსი - მარიამ ლორთქიფანიძე ამბობს, რომ „ივანე ჯავახიშვილმა შექმნა სრულად ახალი ეტაპი, ქართულ მეცნიერებაში წყაროთა კრიტიკული შესწავლის მეთოდი. ქართული და უცხოული წყაროების შედარება და გაანალიზება შეძლო, ქართული მეცნიერება განვითარების ახალ გზაზე გამოიყვანე, მან იცოდა ქართული სამართლის ისტორია, ეკონომიკური ისტორია, მწერლობის ისტორია, ნუმიზმატიკა, მეტეროლოგია, პალეოგრაფია, ქართული დამწერლობის მცოდნეობა“[9] ივანე ჯავახიშვილს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ვარლამ დუნდუასთან და ერთხელ უთქვამს: „მე, ისეთ პირობებში მარგუნა ღმერთმა მოღვაწეობა, როდესაც საქართველოს ისტორიის არცერთი სამეცნიერო დარგი არ არსებობდა“[10] ვარლამ დუნდუა მოხიბლული იყო მისით, ისინი ერთად მუშაობდნენ სხვადასხვა სემინარების ჩატარებაში, რომელიც ისტორიასა და გეოგრაფიას უკავშირდებოდა.

ივანე ჯავახიშვილის პატივისცემა და სიყვარული იყო გამორჩეული ოჯახის მიმართაც. შვილებს ქართულ კულტურას, ენას ასწავლიდა და თავიანთი ქვეყნის სიყვარულს უნერგავდა. ივანე ჯავახიშვილი სტუდენტებთან ერთად, როცა იმყოფებოდა და ირგვლივ ნათელა ჯავახიშვილი რუსულს გაიგებდა, სტუდენტებს მიმართავდა: „ქართულად! ქართულად!“ ივანე ჯავახიშვილი იბრძვის, რამდენიმე ძირითადი საკითხის ირგვლივ და ცდილობს მათ აღმასვლას საქართველოში: ავტონომია, ავტოკეფალია და ქართული უნივერსიტეტი! ამ დროს, ივანე ქართველ ლიტერატურათმცოდნეს კიტა აბაშიძეს წერდა: „ასეთი დრო და ჟამი არასოდეს გვქონია“.

[9] ფილმი, ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეროვნული არქივი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და სტუდია „სქაიტექის“ მხარდაჭერით შექმნილი ფილმი.
[10] ფილმი, ივანე ჯავახიშვილი. დრო: 11:09.

3.2ქართული უნივერსიტეტის იდეა და ძირითადი ფასეულობები

კინოთეატრ „ელიტში“ შეიკრიბა პეტერბურგის საზოგადოება. საფუძვლიანი მოხსენება ჰქონდა აქ ივანე ჯავახიშვილს: „დროა, ჩავალაგოთ ჩემოდნები და გავწიოთ სამშობლოსაკენ“. ორ თვეში ის უკვე საქართველოში იმყოფებოდა, რათა თავისი დასახული მიზნისკენ ახლოს ყოფილიყო. აკაკი შანიძე ამ წამოწყებაში და სულისკვეთაბაში მხარს უჭერდა. საზოგადოების გარკვეული ნაწილი მზადაა, რომ უნივერსიტეტი შეიქმნას. 1917 წლის 12 მაისს უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრების შეკრება გაიმართა, სადაც ერთმანეთს გაუზიარეს იდეები და სურვილები, საჭიროებებიდან გამომდინარე. ივანე ჯავახიშვილი ამავე წლის 17 მაისს ქუთაისში იმყოფებოდა, სადაც გაჩნდა მხარდაჭერთა გუნდი. ქვეყანაში რთული ეკონომიკური მდგომარეობაა, რადგან ფული რთულად იშოვება, მხოლოდ ლატარიები რიგდება. ამ პროცესებს ემატება რუსეთში 1917 წელს მომხდარი ოქტომბრის გადატრიალება, დროებითი მთვრობა მიდის. საქართველოში მდგომარეობა ისევ რთულია და რეპრესირებული. ივანე ჯავახიშვილი აპირებს, რომ ამ ყველაფრისდა მიუხედავად უნივერსიტეტი 1918 წლის 22 იავნარს გახსნას, ეს დღე ხო დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა. ეს თარიღი ივანესთვის, როგორც ისტორიკოსისთვის მნიშვნელოვანია. 22 იანვარს გახსნა ვერ შეძლო, თუმცა პირველი ლექცია 28-30 იანვარს ჩაატარა, თემაზე: პიროვნება, და მისი როლი ძველ ქართულ ლიტერატურასა და ისტორიაში. მუდმივად ეუბნებოდა ისტუდენტებს, რომ „ქართველი ერის ისტორია“ -ეს პიროვნებათა უწყვეტი ბრძოლაა. (ჯორბენაძე, 1984). ივანე ჯავახიშვილისათვის ქართული კულტურა, პიროვნებათა მრავალფეროვნებაა და ამის გარდა, მისი ცხოვრება იყო მუდმივი ბრძოლა თავისუფლებისათვის, განვითარებისა და იდენტობის შენარჩუნებისათვის. 1918 წლის 26 მაისს მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა. უნივერსიტეტი დაფუძნდა და ნელ-ნელა ვითარდება. ივანე ჯავახიშვილი ნიკო მარს მიმართავდა: „სამი წლის წინ სამი ოთახი გვქონდა და 7 პროფესორი გვყავდაო, დღეს კი 7 შენობა გვაქვსო, 2800 მეტი სტუდენტი და 39 პროფესორიო, წიგნთსაცავში კი 115 ათასი ტომი“. ივანე ჯავახიშვილი თავის სტუდენტებს მუდმივად ამხნევებდა და წინ სვლისკენ მიუთითებდა: „ვაჟკაცა გული რკინისა, აბჯარი თუნდაც ხისაო“. ამ სიტყვებს ახსენებდა, როდესაც სტუდენტები საბრძოლბელად მიდიოდნენ. უნივერსიტეტის კარები მხოლოდ ერთი დღით 1921 წლის 25 თებერვალს დაიკეტა. შემდგომ კვლავ აღდგა სწავლება. ძალიან საინტერესოა ერთი გარემოებაც, 1921 წელს სერგო ორჯონიკიძემ მოითხოვა უნივერსიტეტის ტრიბუნა, თუმცა ივანემ უარით გაისტუმრა და

უთხრა, რომ პარტიული გამოსვლა უმაღლესს სასწავლებელში იყო აკრძალული. ეს თითქოსდა პატარა უარყოფა იყო იმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, ქართული უნივერსიტეტის დამოუკიდებლობისა და ღირსების შენარჩუნებისათვის. გარდა ამისა, ივანე ჯავახიშვილმა არ მიიღო სიახლეები, რომლებსაც მაშინდელი განათლების სახალხო კომისარი უწესებდა. მათი აზრით ახალი საგნები უნდა დამატებულიყო უნივერსიტეტში: 1) საბჭოთა კონსტიტუცია 2) პოლიტიკური ეკონომიკა 3) ისტორიული მატერიალიზმი 4) წითლების მეთოდები და მიდგომები. არცერთი მათგანი არ დაამატა ივ.ჯავახიშილმა. [11] მეცნიერი მუდმივად დაკვირვების ქვეშ იყო ხელისუფლების მხრიდან, ჩეკა მუდმივად აკონტროლებდა. 1924 წელს ქ.ჩოლოყაშვილის ამბოხის ღამეს, ჯავახიშვილი თავად ჩაბარდა ჩეკას. და ვიცით, ისტორიები მასზე, როგორ უკითხავდა საქართველოს ისტორიზე ლექციებს პატიმრებს. ციხეშიც კი ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეს ეწეოდა. 1931 წელს ივ.ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან გაუშვეს, მემარჯვენე პროფესორი უწოდეს და ამ გადახრაში დაადანაშაულეს, ისე რომ თავადაც არ ესმოდათ, რის გამო სჯიდნენ ივანეს. ამ პერიოდის შემდგომ იწყება ივანე ჯავახიშვილის განსხვავებული ბრძოლა სახელმწიფოში, რათა დაემკვიდრებინა სიმართლე, თავისუფლება და შეენარჩუნებინა ქართული კულტურის არსი. 1930 წლებში ლავრენტი ბერია წერდა, წერილი-დასმენა: „ივანე ჯავახიშვილი სტუდენტებისთვის კერპია“ - პრეზიდიუმის წევრად მას აღიარებდა.

კრიტიკა, ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებას არ მოჰკლებია, ქილიკი და თვალთვალი. ის იყო ამ მძიმე რეპრესიების მსხვერპლი, ამიტომაც უწოდა ივანე ვაშაყმაძემ „მხოხავი ემპირისტი“ და ანტიმარქსიზმში დაადანაშაულა. ივანეს ნაციონალურ ხედვებს უვარგისად მიიჩნევდნენ. „ის, ივანე ჯავახიშვილი ძველი ფეოდალურ ნაციონალისტური სკოლის წარმომადგენელია მეთოდოლოგიურად მხოხავი ემპირისტია და ანტიმარქსისტი. განზოგადოებას და სინთეზურ აზროვნებას გაურბის. ივანე ჯავახიშვილის ისტორია არ არის ისტორია, როგორც მეცნიერება, მისი საქართველოს ეკონომიკური ისტორია სრულად უვარგისია“. [12]

სტუდენტებიც, იყვნენ რომლებიც ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებას უპირისპირდებოდნენ და ცდილობდნენ მისი იდეების დაღმასვლას. არსებობდნენ სტუდენტები, რომლებიც იყვნენ ხელისუფლების მიერ მოგზავნილი აგენტები. მაგალითად, საინტერესოა ერთ-ერთი სტუდენტის მოსაზრება: „როდესაც სოციალისტურ ფრონტზე, ჩვენ ვაწარმოებთ კლასობრივ შეტევას, მაშინ

[11] ფილმი, ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეროვნული არქივი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და სტუდია „სქაიტექის“ მხარდაჭერით შექმნილი ფილმი.
[12] ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, მერაბ ვაჩნაძე, რედ: დიმიტრი შველიძე, არტანუჯი 2004.

თითოეულმა უნდა იცოდეს ვინ ვისთვის იბრძვის, და საჭიროა მისი პოლიტიკური ფიზიონომიის გამოაშკარავება. აქ უკანასკნელი დოცენტის გამოსვლა არის გაგება ჯავახიშვილის აგენტობისა“[13]. ასევე, ერთ-ერთი ასპირანტი წერს, რომელიც შემდგომში მაფიის მოთავე აღმოჩნდა: „როდესაც ხალხმა დაკარგა ლენინი, მაშინ ჩვენ გრიგოლ წერეთელი და ივ.ჯავახიშვილი მოგროვდნენ და ლაპარაკობდნენ, გავკეთდით ხალხი, ლენინი მოკვდაო. დასკვნა, ჩემი ასეთია, რომ ჯავახიშვილი და წერეთელი არის აშკარა მავნებლები“[14] ამ ყველაფრიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეჟიმი უპირისპირდებოდა ქართველ ისტორიკოსს, რომელიც იდგა ეროვნული ნიადაგის სადარაჯოზე. ივანე ჯავახიშვილს მუდმივად იცავდნენ და მხარს უჭერდნენ, მისი მოწაფეებიც სიმონ ყაუჩიშვილი, აკაკი შანიძე, სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი.

1933 წელს ქართული უნივერსიტეტი კვლავ გაიხსნა. ივანე ჯავახიშვილი ძველი ისტორიის კათედრის გამგედ დანიშნეს. ამ პერიოდში რექტორი გახლდათ კარლო ორაგველიძე, რომელმაც მთვრალი სტუდენტები შეუგზავნა ივანე ჯავახიშვილს ლექციაზე, რათა სწავლების პროცესი შეწყვეტილიყო. უნივერსიტეტშიც კი უპირისპირდეებაინ მას. კარლო ორაგველიძე მოხსენებით გამოვიდა, საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ. 10 თავიდან - 8 თავი ეძღვნებოდა ივ.ჯავახიშვილისა და მისი სკოლის განადგურებას. დისკუსია იყო მწვავე და სავალალო, რადგან ქართველ ისტორიკოსზე, აღნიშნავდნენ რომ ის „არამარქსისტია, ნაციონალ-შოვინისტი, ფაქტების-ელემენტარული ფიქსატორი და ფალსიფიკატორი“[15]. ივანე ჯავახიშვილს ადანაშაულებდნენ „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ შექმნაში, რომელიც თითქოსდა გულისხმობდა სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის პრინციპებს, რომელსაც ნაციონალიზმი აერთიანებდა. ძველ ჩანაწერებში ვკითხულობთ, რომ ლენინისა და სტალინისთვის ნაციონალიზმი თავისთავად ბურჟუაზიული მოვლენა იყო. ივანეს უპირისპირდებოდნენ მისი წარსულში გაკეთებული კომენატრების, ეროვნული თვითშეგნებისა და დაწერილი წერილების გამო, ამიტომაც ის აკადემიურ სივრცეში ყალიბდებოდა მტრის ხატად. დისკუსიაში აღნიშნავდნენ, რომ არ მოსწონდათ მისი შეხედულებები რუსუთ-საქართველოს ურთიერთობებზე. ისტორიკოსი რუსეთს წამქეზებელს და განზე მდგომს უწოდებს, ხოლო საქართველოს ამ პროცესებში მსხვერპლს. ძირითადად იხსენებდა XVII-XVIII საუკუნეების ისტორიას, საქართველოს მძიმე ვითარებას სპარსეთთან და თურქეთთან. ერთადერთი მეცნიერი იყო ჯავახიშვილი ვინც,

[13] ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, მერაბ ვაჩნაძე რედ: დიმიტრი შველიძე, არტანუჯი 2004

[14] ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, მერაბ ვაჩნაძე რედ: დიმიტრი შველიძე, არტანუჯი 2004

[15] დისკუსია:საისტორიო ფრონტზე მდგომის შესახებ,სამეცნიერო ნაწილი 1936 წელი,ტომი 2, გვ:5

ამაზე თამამად და დაუფარავად საუბრობდა. დისკუსიის წევრები ადანაშაულებდნენ ისტორიკოსს ნიჰილისტურ დამოკიდებულებაში ისტორიის საკითხებისადმი, რომელიც თითქოს მისი სკოლის გავლენით მოხდა. [16] ბუნებრივია, მისი მოწაფეები იცავდნენ მას, რომელიც გმირობის ტოლფასი იყო მაშინდელ დროში. იმ დროში, სადაც 268 000 ადამიანი იყო რეპრესირებული. ძველ ხელნაწერებში შენახულია ივ.ჯავახიშვილის წერილი-უნივერსიტეტისგან განთავისუფლების შესახებ 1936 წელი. წერილში ვკითხულობთ ისტორიკოსის სიტყვებს და მაშინდელ განცდებსაც ვგრძნობთ: „ასეთ პირობებში ჩემი დარჩენა უნივერსიტეტში ადამიანური ღირსების დამამცირებლად მიმაჩნია. ჩემს, ვითარცა უნივერსიტეტის პროფესორის მოვალეობას, დამთავრებულად ვთვლი და, გთხოვთ ამიერითგან უნივერსიტეტისაგან გამათავისუფლოდ“(წერილი, 1936 წ, IV). მისი მოწაფეები კი ბოლომდე იცავდნენ, „მოძღვრის“ სულისკვეთებასა და შეუპოვრობას. ამ დროს ხელისუფლება „ამხანაგო ივანე“ - ასე მოიხსენიებს. ხელისუფლებასა და ივანე ჯავახიშვილის სკოლას შორის ბრძოლა ზუსტად ათი წელი გაგრძელდა. ეს ყველაფერი ისტორიკოსს ჯანმრთელობის ფასად დაუჯდა. მიუხედავად იმისა, რომ რთული ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს, მაინც არ ჩერდება და უკან არ იხევს, თავისი ნაშრომებით და შემოქმედებით კიდევ და კიდევ უფრო წინ მიიწევს. მაშინ როცა საქართველოს ისტორიის მუზეუმში იწვევენ კონსულტანტად, ექსპედიციებს აპარატებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და საკუთარ დროს იყენებს მაქსიმალურად და ნაყოფიერად. ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან წასვლის შემდეგ თითქმის ყველა რექტორი პარტიული მუშაკი იყო, მათგან ბევრი დახვრიტეს, იავნე ჯავახიშვილი გადარჩა. 1936-1940 ეს ის წლებია, როდესაც იოსებ სტალინი საბჭოთა კავშირში პოზიციების გამყარებას ცდილობს. ივანე ჯავახიშვილითაც დაინტერესებულია, თუ რას წერს და რას ლაპარაკობს საქართველოში. რუსთაველის 750 წლისთავი იზეიმა მთელმა საბჭოთა კავშირმა, თბილისში „რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის“ გამოფენა სწორედაც, რომ ივანე ჯავახიშვილს მიანდეს (ი.ჯავახიშვილი, 1996, გვ 85). 1939 წელს იწყება ისტორიკოსის რეაბილიტაცია, როდესაც ივანე ჯავახიშვილი დაინიშნა პრეზიდიუმის წევრად, უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მეცნიერებათა აკადემიის წევრად. 1947 წელს დაწერილ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს სტალინურ პრემიას ანიჭებენ. სახელმძღვანელო დაწერილია მოწაფეებთან ერთად: ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის მიერ. საქართველოს ეროვნულ არქივში ვხვდებით, 1938 წლის ივანე ჯავახიშვილის დოკუმენტურ მასალებსა და ჩანაწერებს, სადაც მისი ადამაინობა, თავმდაბლობა და ხალხისადმი სიყვარული გამოიხატება:

[16] დისკუსია:საისტორიო ფრონტზე მდგომის შესახებ,სამეცნიერო ნაწილი 1936 წელი,ტომი 2,გვ:6

„ეს განსაკუთრებული პატივისცემა, სიყვარულის გამოხატულება, რომელიც თქვენ ინებეთ, მე მიმაჩნია გადაჭარბებულად, ჩემდამი ქართული გულუხვობით აიხსნება ეს. მე ჩემს ხალხს ჩემს მოღვაწეობას სრულებით დიდად ისე არ ვაფასებ, როგორც თქვენ გნებავთ. ხშირად მე ჩემი მოღვაწეობა წარმომიდგენია ისე, როგორც ჭიანჭველა პატარა, რომელიც ეპოტინება დიდს მარცვალს და მიაქვს“ - ივ.ჯავახიშვილი, 1938წ.

ივანე ჯავახიშვილის მოწაფისა და მხარდამჭერის აკაკი შანიძის შვილი, მზექალა შანიძე იხსენებს ჯავახიშვილს და ამბობს: „არის მოვლენები და არიან ადამიანები, რომელთა ხსოვნა ნათლად და მკაფიოდ არის დარჩენილი, ასეთი არის ჩემთვის ივანე ჯავახიშვილის ხსოვნა“.[17] ისტორიკოსის შვილიშვილი, თარხუჯ ჯავახიშვილი იხსენებს ბაბუამისს და საუბრობს მის გარდაცვალებაზე, თუ როგორ დაასრულა თავისი სიცოცხლე სალექციო ოთახში, სტუდენტების წინ და თან ივანე ჯავახიშვილის „საოცნებო სიკვდილი“ უწოდა.[18]

[17] ფილმი, ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეროვნული არქივი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და სტუდია „სქაიტექის“ მხარდაჭერით შექმნილი ფილმი,
[18] ფილმი, ივანე ჯავახიშვილი, რეჟისორი: მერაბ კოკოჩაშვილი.

დასკვნა

ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება იყო რთული, თუმცა საინტერესო, ამას თავის წერილებშიც აღნიშნავს. მას მძიმე, რეპრესირებულ დროში მოუწია ცხოვრება, თუმცა თავისი დასახული მისიის შესრულება შეძლო. სხვადასხვა ტიპის მეცნიერებათა დარგს ჩაუყარა საფუძველი, განავითარა და ახალ თაობას მათი საჭიროება დაანახა. ქართული ენისა და სამშობლოს სიყვარული არასოდეს დაუვიწყია, ოჯახი ქათულ მენტალიტეტზე დააფუძა, შვილებს ქვეყნის სიყვარული ჩაუნერგა, ქართველ ხალხს ინდივიდუალიზმისა და „საკუთარი მე-ს“ გამოხატვა ასწავალა, გამბედაობა ჩაუნერგა მის მოწაფეებს. ქართველ საზოგადოებას მისცა შესაძლებლობა ქართულ ენაზე მიეღოთ განათლება, მშობლიურ ენაზე ემუშავათ და განევითარებინათ ქართული მეცნიერება. აღსანიშნავია, ისიც რომ, რაც ივანე ჯავახიშვილის დიდი სურვილი და მიზანი იყო ავტოკეფალია, ავტონომიურობა და ქართული უნივერსიტეტი, სამივე მათგანი მისსავე სიცოცხლეში მოესწრო.

1918 წლის 26 იანვარს ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ჩამოყალიბდა, ხოლო 1917 წლის 12 მარტს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია აღდგა. საქართველოში, კერძოდ თბილისში 1918 წელს ქართული უნივერსიტეტის დაარსება განსაკუთრებული კულტურის ზეიმი იყო. „ძირძველი თავადის სახლის შვილი, ივანე ჯავახიშვილი ჩვენი ისტორიოგრაფიის იმ წრეს ეკუთვნოდა, რომელიც ქართველი ხალხის საღ მაჯისცემას ცხადად გრძნობდა და ჩვენს ეროვნულ მომავალს იმედით შესცქეროდა“ - ნიკო ბერძენიშვილი თავის გამოსვლაში ამბობდა, 1941 წელს. საინტერესო შეხედულებები აქვს ივანე ჯავახიშვილის მოწაფეს სიმონ ჯანაშიას, ის ამბობს, რომ ისტორიკოსი ახალი თაობისათვის ნამდვილი საგანძურია („ედიშერ ხოშტარია-ბროსე, 1996, 103). მათი მტკიცებით აუცილებელია მუდმივი კონტაქტი სტუდენტებთან, ახალ თაობასთან, აუდიტორიასთან, რათა გაგებულ იქნას ღრმად ივანე ჯავახიშვილის როლი და ეროვნული იდეალი.

საბოლოოდ, ამ კვლევა-ძიებიდან დასტურდება, რომ ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობა არ იყო „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ წარმოშობისა. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ კრიტიკა, რომელიც მას მიემართებოდა თავისი საქმიანობის ჩასახშობად. ქართველი მეცნიერის მსოფლმხედველობის, ნამდვილი მეცნიერული ხასიათისა და მიდგომების გამოაშკარავებით, დასტურდება თუ როგორი ნაციონალისტია ივანე ჯავახიშვილი. კარლო ორაგველიძე, ბოლომდე, ცდილობდა დაემტკიცებინა მისი „ანტიმარქსისტულობა“, თუმცა არ გამოუვიდა,

ვითომდა „მხილება“ („ედიშერ ხოშტარია-ბროსე, 1996, გვ105). ამ ბრძოლების განმავლობაში, მუდამ აღნიშნავდა, ივანე ჯავახიშვილი, რომ სიმართლე ბოლოს მაინც გაიმარჯვებდა და ასეც აღსრულდა. ისტორიკოსის სკოლამ გამარჯვება მოიპოვა და მისდამი დამოკიდებულებაც კვლავ ამაღლდა. სახელმძღვანელოები, რომელიც ივანე ჯავახიშვილის თანაავტორობით იწერებოდა, ყველა მათგანს პატრიოტული სულისკვეთება გააჩნდა („ედიშერ ხოშტარია-ბროსე, 1996, 109). ჩემს ნაშრომში აღნიშნული საკითხი: ივანე ჯავახიშვილი მოძღვარი თუ ამხანაგი ივანე, გაეცა პასუხი. ისტორიკოსი თავისი მოწაფეებისთვის, კოლეგებისა და ქართველი ხალხისათვის იყო ნამდვილი მოძღვარი, რომელიც თავისი ქვეყნის კეთილდღეობისა და წარმატებული მომავლისთვის იბრძოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) სერგო ჯორბენაძე, (1984) „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“, თბილისის უნივერსიტეტი.
2) ე. გელნერი, (2003). „ერები და ნაციონალიზმი“ თბილისი, „ნეკერი“
3) ენტონი დ. სმითი, (2004) „ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია“ თბილისი „არტანუჯი“.
4) ენტონი დ.სმითი, (2008) „ნაციონალური იდენტობა“, ლოგოს პრესი.
5) მერი ჭელიძე, (2002) „ქართული ეროვნული გონი ფილოსოფიური-ისტორიული ასპექტით“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
6) ედუარდ კოდუა, „სოციოლოგიური და სოციალურ-ფილოსოფიური ნააზრევი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში“.

7) მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული,(2004) „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე“-დოკუმენტები და მასალები (მე-20 საუკუნის ოციან-ოცდაათიან წლები) გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი.
8) მარიამ ლორთქიფანიძე, გიორგი ოთხმეზური,(2016) „ივანე ჯავახიშვილი-ცხოვრება და მოღვაწეობა“, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბილისი.
9) ივანე ჯავახიშვილი, (1996) „წარსულის ფურცლები“, პირადი მიმოწერა, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
10) ზურაბ დავითაშვილი, (2003) „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“ მეცნიერება. ლექცია: „შესავალი ნაციონალიზმის კვლევებში“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ი. ჭავჭავაძის გამზ.13
11) ივანე ჯავახიშვილი, „ბრძოლა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისთვის“-1938, თბილისის შრომის წითელი დროში ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები-1971 წელი. (ნახვის დრო, 10.10.2023; 18:45) https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/apr/books/javaxishvili-brdzola-saqartvelos-universotetis.pdf
12) ივანე ჯავახიშვილი, (1928) „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი პირველი, სილ.თავართქილაძის გამოცემა, ტფილისი. (ნახვის დრო,15.10.2023; 15:30) https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/apr/books/javaxishvili_qartveli_eris_istoria_wigni_pirveli.pdf
13) Josep R.Lobera, (1994) „The God of Modernity”, Routledge.
14) Umut ozkirimli, (2000) “Theories of Nationalism”, Acritical Introduction. (ნახვის დრო, 13.09.2023; 22:00) https://www.scribd.com/document/431133175/Umut-Ozk%C4%B1r%C4%B1ml%C4%B1-Theories-of-Nationalism-a-Critical-Introduction-Palgrave-Macmillan-2010
15) Terry Martin, (2001), THE Affirmative Action Empire: Nations and Nationalism in the Soviet Union – 1923-1939. Cornell University Press.

16) Gerhard Simon, (1991), Nationalism and Policy towar the Nationalities in the Soviet Union, Boulder, SanFrancisco, Oxford: Westview Press.
17) მერაბ კოკოჩაშვილი, (2017) ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეროვნული არქივი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და სტუდია „სქაიტექის“ მხარდაჭერით შექმნილი ფილმი. (ნახვის დრო 11.11.2023; 12:30) https://www.youtube.com/watch?v=KRuPjgrpeoE&ab_channel=TSUMULTIMEDIA
18) რონალდ თოფჩიშვილი,(2005) „ეთნოისტორიული ეტიუდები“, ენა და კულტურა. (ნახვის დრო, 17.12.2023; 16:24). https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3448/1/EtnoIstoriuliEtiudebi.pdf